— სიტყვა თავაღს იღია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, — გამოაცხადა ბავ-
რატიონმა.

დარბაზში ტაშმა იჯიალა.

დარბაზის ბოლოს ხალხში ჩაქედილმა გურგენიძემ მხრიებით ვიტვ-
ლია ვზა და წინ წილი. ის პირველად მოსულიყო აქ. იმ დღისას ნიკოს-
გან შეიტყო იმ სხდომის ამბავი და ვერ მოითმინა, თავე ხილაში წერ-
შეირა. მან კარგად იცოდა ქართლის თავადაზნაურობის ძალა და ამობ-
და: თუ მათ იარალი და ფული მისცეს, დანარჩენი თავადაზნაურობაც
აქვევდა და მთავრობა აღვილად შეპერავს ხუთმეტათასიან ლაშეანს, რო-
მელიც გლეხებს შემუსრავს. სანამ ახატნელი ლაპარაკობდა, ზერამი
თავჩაქინდრული იჯდა და ჩუმად აკაჭუნებდა კბილებს. კავკავაძის მოს-
ვლა ყველაზე მეტად მას გაუხარდა. ზურაბს იძებმა ვაუფუჩუნა, იქნება
ეს საქმე ახატნელს ამან ჩაუფუშოს. გრძდა მისა, გულით და სულით
ეწალა სახელოვანი მწერალი და განთქმული ორატორი ენახა და მისი
ლაპარაკიც მოესმინა.

ილია წითელ მაგიდასთან ვავიდა, მომრუნდა და წყნარად მოავლა
თქალი დარბაზს.

— ერი მრავალ მხრივ ჰგავს ცალკეულ ადამიანს. ზოგჯერ ერთსაც და
მეორესაც მოაჩულივით შეუწინება რაიმე სენი და მანამდის ებრძევიან
ხოლმე, მას, სანამ არ მოინელებენ. მთელ მსოფლიოში ისეთ ერს ვერ
იპოვით, რომ ოდესმე შფოთი არ აეტენა, მთავრობას არ შესპროლე-
ბოდა და ცხოვრების შეცვლა არ მოეთხოვნა. ახლა ეს სენი ჩვენს სამ-
შობლოსაც შეეყარა; იმიტომ შეეყარა, რომ კანონი ცხოვრებას ჩამორჩა,
სინამდგრილემ დაძველებული წესწყობილება უკან ჩამოიგდო და მისი გა-
დაეკუთხება მოიხსოვა.

ილიას სუფთა ბოხი ხმა პქონდა და მის ხმაში ბეწვის ოდენა ბზარიც
არ ისმოდა. მეტად დინჯად, მკაფიოდ და უფროსხილოდ ლაპარაკობდა.
ყოველ სიტყვას მსმენელს უდაო კანონსავით უნერგავდა.

უკანასკნელ დროს ილია იმ აზრისა იყო, რომ პეტრე დიდის შემდეგ
რუსული კანონი სინამდგრილეს მუდამ წინ უსწრებდა და მხოლოდ ახ-
ლი ჩამორჩაო. ეს აზრი ახლაც ვაიმეორა, მერმე იქტომბრის მანიფესტი
გაიხსენა და განაცხადა:

— ამ მანიფესტის წყალობით კანონი ცხოვრებას დაწევდა და კიდე-
ვაც გაუსწრებს. მხოლოდ ზოგიერთი გულფიცი და სულსწრავი მო-
ითხოვს, ცხოვრებას თავზე ვადავისტეთ და ათასი წლის საქმე ათიოდე
წელიწადში მოვათავოთ. მავრამ ბატონებო, სულსწრავ ხალხს თავი
დაეკაროთ, კინაიდან ისინი თავიანთ თავსა და თავიანთ საქმესაც თვი-
თონეე ამოიკამენ, ჩვენ კი ჩვენს საქმესა და სიტყვას ეს დედააზრი უნდა
ჩაეუგდოთ ბალავრად: ერი მარადიული ფენომენია, ჩევოლუცია კი დრო-
ებითი ქარტებილი გახლივთ. დღეს თუ ხვალ ქარიშხალი ისევ ჩავარდება,
ერი კი დარჩება და თავის მეთაურებს მკაფიოდ მოიხსოვს ანგარიშს. ნათ-
ქეამია, ყველა ჩვენი სიტყვა და საქმე საიქიოს იწერება და ერთიც იქნე-

ბა, პისუხს გვაგებინებენო. ბატონებო, უკოდველი არც მე გახლავართ, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ საიქიოს სამჯავალოზე უფრო მეტად სააქაო მსჯავრი მაშინებს. ამ სჯავრისავან სიკულიკოც კი უკი გვისხნის. მეაცრი ისტორიკოსი ჩვენს მადლიაც და მატლიაც სასწორზე დასდებს და პირუთენელ განაჩენს გამოგვიტანს. ზოგიერთს, ალბათ, იმ უცნობი შორეული ისტორიკოსისა სულაც არ ეშინიან. იმ ვაეგბატონებს შოვახსენებს, რომ ისტორიკოსი-მსაჯული ცოტხალია და დაულალავალაც მუშაობს. ალბათ, მყითხავთ, ვინ არის, სად არისთ? ის მსაჯული ზალხია, ერთია, და იმ ერთი ჩვენც ცურევევართ. დილით-დილამდის ერთმანეთს ვეკეპავთ, ვწონავთ და განაჩენიც გამოვევჭვს. ბატონებო, განვებას თავად-ინაურთათვის დიდი უფლება მიუკია და დიდი ვალიც დაუდევა. ეისაც მეტი ერგო, იმას მეტიც მოეთხოვება. რაც სხვას ეპატიება, ჩვენ არ ვე-პატიება, რაც სხვას არგებს, ის ჩვენ არ შეგვერგება. რად მოგახსენებთ ამას? ამას იმად მოგახსენებთ, რომ ბატონმა ახატნელმა წამლის მაგიტრამი მოგვიწოდა.

ამის გამგონე წინა რიგი შეიჩხა. გურგენიძემ ველაზ შოითშინა და წამოიძახა:

— მართალია!

— მართალია! შხამია! — დაიყვირეს უკანა რიგებში და მძლავრი ტა-ში დაყოლეს.

— მაშ ვინ უნდა გვიპატრონოს? — მიაწოდა ილიას ერთია გენე-რალმა.

— ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ეუპატრონოთ, — უპასუხა ორატორმა და განაგრძო: — მთავრობა ფულსა და იარაღს გვაწვდებს. ასე მიაწვდიან ხოლმე მახვილსაც და ოქროსაც იმ ავაზებს, ვინც ლეისლი ძმის მოკვლას კისრულობს.

— ვგრეა! მართალია! — კვლავ იხუვდა დარბაზში.

— რის მაქრისია ის მებაღე, ვინც უკავილს დასთესავს და ლენცოფას კი მოიყვანს? პატივცემულ ბატონს ახატნელს გულწრფელად ჰევნია, სურნელოვან ცავილს ვთესავო, ის კი არ იცის, რა სისხლიანი უკალნარი იმოუვა. ამა ერთი თაბაუთი გავსწიოთ და ამ თავითვე ვიყითოთ, რას გააკეთებს მემამულეთა ლაშქარი? მეტი რა საქმე ექნება: გლეხობას და-ერვა, თკლებს, შემუსრავს და ზღვა სისხლსა და ცრემლს დაღვრის. მე-რჩე რაღის იქმი? მერმე დაიშლება და უკელა მოლაშერე თავთავის სო-ფელს დაუბრუნდება. იქ პირისპირ შეხედებიან ერთმანეთს ხელისხლი-ანი მოძალადე და მისი მსხვერპლი — ქვრივი, ობოლი, მაჯუმი და დაკო-დილი გლეხები. რას ეტყვიან ისინი ბატონს? რა პისუხს გისცემს ბატონი იმ გაავებულსა და უბედურ ხალხს? რადა პირით უნდა შეხედონ ერთმა-ნეთს? მათ სიკელილამდე უნდა იცხოვრონ მეზობლად და ისეე ურთ-

ერთი უძლია სკამონ და ხოცონ. რომელი თქვენთაგანი გაუძლებს / ა-
გვარ ცხოვრება? ვერავიჩაც ვერ გაუძლებს. ჩვენ იძულებული გავტა;
ბით მამაპაპეულ-მამა-დედეულს და საფლავებს თავი მოვანებოთ. სამუ-
დამოდ გამოვიქცეთ და აქაც მტერს შევეყარნეთ. ნუ, ბატონებო, ამ სა-
შეილიშეილო დანაშაულს ნუ ჩავიდეთ, ათასი წლის კერის ნუ მოვიშ-
ლით, თორებ მომავალი თაობანი შეგვაჩენებენ. მეც ვიცი, რა გაჭირვება-
შია მემამულე, მაგრამ მოთმინების გარდა მეტი რა გზა დაგვრჩენია! ნჯობს პურით და ყველით გაეიტანოთ ჩვენი თავი, ვიღრე სამუდამოდ
გადავეკიდნეთ ერთმანეთს და ხალხში მისასვლელი გზა მოვიქრათ. სჯობს
ორმოდე წელწადიც მოჰკომინოთ და მერმე მოძმე გლეხობას თამამალ
გავუყაროთ თვალი თვალში, ვიღრე ჩვენი ერთმანის ფუძე მოვარდვით.
გლეხობა უპატრონოდ დავტოვოთ, ჩვენ კი იქაც ფესვები დავიგლი-
ჯოთ და ქალაქურ მიწაზედაც ვერ ვიხაროთ. მაშ ევ იარალი რომ ავის-
ხიათ, რა თხრად გინდათ?! ახალი კი არა, ძველიც თავში ახალეთ იმას,
ვინც დაგირიგათ. სისხლის დაღვრა არ გაბედოთ მეთქი, თორებ მწარელ
ინანებთ და გვიანდა იქნება თითზე კენანი. გეუბნებით, მტერი შხამს
გვაწვდის მეთქი, და ვაი იმას, ვინც მას წამლად მიიჩნევს და ჩამოართ-
შევს. ბატონებო, მე ჩემი მოგახსენეთ და დანარჩენი თქვენ იყით.

ილიამ სიტყვა დაასრულა და დინჯი ნაბიჯითვე გაემართა კარების-
კენ იმ მსაჯულიერი, რომელიც განაჩენს გამოიტანს და მაშინვე თავის
ოთახისაენ გაბრუნდება ხოლმე.

კენჭის ყრა არ ყოფილა და კრებაც მაშინვე დაშალა, ვინაიდან სა-
ლაპარაკო აღარაფერი შექნდათ.

(გავრძელება შემდეგ N-ში),



თუ მოსახლე მის დარღვევას უნდა მოსის თუ მოსახლე მის დარღვევას
არ არ გვიცის და არ გვიცის და არ გვიცის და არ გვიცის და არ გვიცის...
თუ მოსახლე მის დარღვევას მოსის თუ მოსახლე მის დარღვევას
არ არ გვიცის და არ გვიცის და არ გვიცის და არ გვიცის და არ გვიცის...
კოლაუ ცალისაძე

გ ა მ ო ღ 3 0 8 0

დღეს მთელი ღამე სკექდა და ქუბდა,
წევიმდა, ელვები არბევდა წყედიალს,
თითქოს ბუნება გლოვდა და სწუხდა
და გამოოტევამდა კაეშანს დიალს.

მეც სევდას ვერინობდი ვულში ჩანთხეულს.
თვეშლს ვადევნებდი ელვების ფრენას,
და შენკა ფანჯრებთან ღამე ვათეულს
მე მახარებდა ვრიფალის ტმენა.

ახლა შეხედე! წვემის წვეთებით
და მზის სხივებში ანთებულ ფოთლებს!
ზეცილან შუქი ძირს იღვენთებსა
და დედამიწა სურნელს აორთქლებს.

ჯამოიღვიძე, ძეირუსო ჩემო!
შენც შეუერთდი ზაფხულის დილას!
ჰქრიან მერცხლები ხეების ზემოთ
და ობშიერი ამოდის სილას.

ამოდენ ღალის და ოქროს ღახლას
ვეღარც კი უძლებს ფანჯრების ჩარჩო...
თითქოს ბუნება იშვება ახლად
და მზე და სითბო სამყაროს აღრმობს.

გამოიღვიძე, რომ შენს თვალებში
კვლავ დავინახო ტრუობა და ზეცა,
რომ ამ სიცოცხლის გაშლილ მქლავებში,
როგორც სიცოცხლეს გიცეურდე შენტა!



გამოიღვიძე, რომ სხივთა წვაში,
ამ ნიაღვარში ხმათა და ფერთა,
ამ სიხარულის და შუქის ზლვაში,
უკუ შენს ახლოს და ცსუნთქო შენთან!

20 ივნის, 1936 წ.

ს. თავაძე

ვ ი მ ა გ ი

რომანი. *)

XXIX

- ბიძია ასალო. ასე მაღლე დაბრუნდი?
- აქ, ეს ლადია! დიდი ხნის უნახაეიცით მიაშურა და მაგრად ჩამოაწეული.
- როგორ იმგზავრე, ხომ კარგად?
- ასალოს თვალები გაუბრწყინდა და ულვაშებშიაც ნელნელა გაეღმა.
- იცი, ლადი, გადაეჩეკეივარ ქალაქს. მერე, ისეთი სიცხეა, კინალამ დავიხვერჩივი. ჩვენი წყარო მომენატრა და აქაური გრილი ჰაერი.
- აა, ხომ გეცებნებოდი, შეეჩეკე-მეთქი! ახლა, მგონია, სამუდამოდ აქ ამჯობინო დარჩინა.
- სამუდამოდ?.. მაინც აგრეა! როგორაა საქმე? ახალი დაბრუოლება ხომ არაფერი წამოიჭრა?
- საქმის ჯავრი ნუ გაქცე... ნათელას ნახვა ხომ არ დაგეზარა? წერილი გადაეცი?
- ასალომ, მამობრივი ალერსით შეავლო თვალი ლადის, მერჩე ეშმაკერად გაელიმა და მხარზე ხელი დაადო.
- ჰო, მართლა, შენ ნათელას ამბავის გაგება გეჩქარება და მე კარას მიეედებ-მოეედები! ენახე, როგორ, არა. წერილიც გადავეცი. ვერ წარმოიდგენ, როგორ მომეწონა. მთელ ქვეყანაზე ჩემშე უბედნიერესა კაცი არ იქნებოდა, მასეთი ქალიშვილი რომ მყავდეს!
- ხომ არაფერი დაგაბარა?
- არა, სალაპარაკოდ არ მეცალა... წერილი გადავეცი და წამოვედი. ისე კი კარგადაა, ჯანმრთელად...
- ლადის სიცილი წასკდა.
- კი, მაგრამ, მგონი, შენ რაღაც უნდა გეთქვა მასზე?

*) დასახული ის. „მნათობი“ № 8.

ასალომ გულმოსულიერთ შეკეტებინა სქელი წარბები.

— რა გაცინებს, ბიჭი? რა უნდა მოთქვა? ხომ არაფერი დავუ-
სიზმრა?

ლადის კელავ სიცილი აუტყდა და ასალომ ჩემოდანს ჩააქლი ხელი.

— კარგი, გეყოფა ახლა! შენ ცხენი თუ გაავს, მე ფეხით გავკვები.

— მოიცა, ასალო! აბა, რატომ სთქვა წელან ნათელამ, იმ შენმა მე-
გობარმა თუ რაიმე გოთხოს ჩემზე, არ დაიჯეროთ?

„ხომ არ მცირის ეს ბიჭი?“ — გათუიქრა ასალომ და ლადის და-
ცერდა.

— გაგიცდი, თუ აა მოგივიდა, კაცო, შენ! ნათელა მე ტფილისში
დავტოვე.

— მართალია, შენ ტფილისში დატოვე, მაგრამ...

და მოუჟავა ლადი.

— მართლა? უყურე ამ კულიანს! ნეტავი მე ვყოფილიყავი და
მენახა! ახალსოფელთან რომ ამოუხევით აღმართში, მაშინ დავინახ-
ურთი ჰაეროპლანი, ალექსის ხეობისაკენ მიფრინავდა.

— ჰოო, სწორედ ის იყო! ხომ კარგი დარია იქით?

— შესანიშნავი. ორბიერთ მისრიალებდა ცის ლაფვარდში...

— აა, შე ძეველო! — შიეფერა ლადი. — რაღაცა კი უნდა გეთქვა,
მაგრამ ახლა რაღა დროსია, ნათელამ დაგასწრო.

— არაფერიც არ შექნდა მე სათქმელი. თქვენი მოგონილია. კაც-
ვერ გაიგებს თქვენს გზასა და კვალს, ხან კაში დანავირდობოთ და ხან
მიწაში დაძრებით...

არჩილ სანებლიერ იქვე ახლოს იდგა და ლადის თვალს ადეკვებდა
როგორც კი შეატყო, საუბარს მორჩინო, წამისკი გერიდით ამოუზა-
ლადის. მკლავში ხელი გამზირო და განშე გაიხმო.

ლადის არ ესიამოვნა ეს და შებძლი შეიქრა, რითაც უნებლიერ აგ-
რინობინა არჩილს, რომ მისთან განმარტოება არ სურდა. მაგრამ არ-
ჩილმა არ შეიმჩინა და თაფლისფერი თვალებით მიუალერსა, თან მარ-
ცხენა ხელი მხარზე დააყრდნო, თირქო თავისი გულის ნაღები იღუმა-
მლად უნდა გაუზიაროს.

— ლადი ჩემო, კაცი დლედალამე მოსეენება არა ვაქვს, მოელს ჩენის
შექებლობას სულს უდგამ, გეირაბს გამუდმებით თავს დასტრიალებ.
მარა, არც ასე ვარგა, შე კაცო! ხანდახან სულის მოთქმულ კარგია. სიკ-
ვდილს არაფერი ეშველება, თვარა სხვა რა არის ისეთი, რომ არ გაეკ-
დეს. ნინო ძალიან გულმოსულია შენზე. რა? არ გემართლება თუ? კი,
ლადი ჩემო, უთუოდ გემართლება. შე კაცო, რავა, ერთხელ თუ შემო-
გიცდა ფეხი, მერე რაღა მოგივიდა? საწამლავი ხომ არაა ჩემის რვახში.
ერთად ერთი კულტურული ძლამიანი გავიცანიო — ნინომ მითხოს —
და ისიც სიახლოეს არ გვეკარებათ, აქ როგორ მოეიცდიო. ამ სიბერიის

დროს თუ ცოლი გამეტება, სულ შენი ბრილი იქნება, ლადი ჩემია! ჩირჩილმა მოხდენილად გაიცინა და მყისვე სერიოზული გამომეტაციელება შინოლო). არა, ხუმრობა იქით იყოს, მე და ნინომ გადავსწყვეტოთ ჩომ ამ: საღამოს საწყალ მიხას გული გადავაყოლებინოთ. გუშინ გაისტრუმენტოლი სახლში. რა ექნა ამა, მის ტირილსა და ვაიუბელურებაში მუშაობა შეიძლებოდა? დიდი უბედურება დაატყდა საწყალს, დიდი! ახლა ამხანაგებმა უნდა მოვხდოთ, ლადი ჩემო. გაჭირებაში უნდა წამოუძხო კაცს, თვარა ლხინში უველა კათ ბიჭია. ათ საათზე მოვიყრით თავს როზენბერგში. აქ გვინდოდა, მარა ხომ იცი, ჩემი ბინა სასაფლაოსთან ახლოთა და უხერხული იყო. პატარა ვახშამი გვეკრება, ეილაპარაკებთ, ვავერიობით. ბაგრატიუ შეპირებულია, გიორგიც და არტემიც. ამის მოხვენელი ვარ, ლადი ჩემო, და უარს ხომ არ მეტყვი?

ლადი თამბაქოს არ ეწეოდა. ორი დღის წინათ ნინოსთან უკუკირი შეხვედრისა და რამდენიმე წუთით საუბრის შემდეგ შეგარა მაღაზიაში და ჰაპირისი იყიდა. მის აქთ შერჩა ჯიბები და ახლა, არჩილის შემპარები. თვალებისავან რომ თავი დაეცვა, უხერხულად მოუკიდა, სანებლივის სიტყვები მუნდოვნად ესმოდა. კარგიდ იცოდა: ამ კაცის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მის გამომეტავნებაში ლადისაც მიუძლოდა წელალი. დღეს თუ არა, ხვალ მოაკითხავენ და სასამართლოს წინაშე ჭარბდება. ამას თვითონაც გრძნობს, ალბად, და ნალიმს აწყობს, იქნება როგორმე მშრალად გამოიდეთ. ფოფების გართობა საბაბია მხოლოდ...

— მე მეონია, შენ თავილი უნდა გეცხოს, ლადი ჩემო, ისე უყვარებარ ყველას. მიხას შენი მოსელა ყველაზე მეტად ესიამოენება... არა, არა, გეთაყვა, უარი არ მითხრა თუ გიყვარდე! ჩემი ერთადერთი ბავშვის კუბო დამეტვას, თუ ეს პატივისცემა სამუდამოდ არ დაფრისხოვარო. ბოლოს და ბოლოს მიხა ხომ ჩვენი ამხანაგია, მისი გულისათვის გეხვეწები...

— უკაცრავად, მაგრამ ამ საღამოს გადაულებელი საქმე მაქვს. მოკლედ მოუკრა ლადიმ და წამსვე განშორდა.


სანებლივის ღაელავა სახე ასე არასოდეს არ გაფიტრებულა. ერთხან! გალენჩებულივით იდგა და მერმე უმწეოდ ჩაიქნია ხელი. მორჩა, გამოსაევალი ალარა! ამ „გველის წიწილმა“ ამოაქს შხამიანი კვამლით ყველა ხერელი, საბაც კი თავის დაძერენა შეიძლებოდა. „გადაულებელ საქმე მაქვს“. ვერ ხედავ, როგორ, არხეინად მიყვება ამ გამოჩერჩეტებულ გურგენიძეს! მშ, ძმობა და თავისუფლება ახლა მიათანა ალმოაჩინა! ჭაობიდან მზის სინათლეზე ამოვიდა! აჩაფერია, არჩილ სანებლივი ისე არ წახდება, რომ საღმე გზა ეერ იპოგნოს! მაშინ ვნახოთ, ვისა აქვს უფრო უტყუარი აღლო! სანებლივ პრისა როდია, არც ბალაზია, რომ ვირებმა მოხსოვონ. თვითონაც საქმო მაღა აქვს და იცის, როგორ უნდა მოსკამოს ეს ცხოვრება...

ასალო და ლადი სახლებს მიეფარნენ და არჩილს მწარედ გაეღიმა-
ვის ემუქრება? რა იმედით?... საკეირელია, ნინომ როგორ ერთ შეს-
ძლო ამ კაცის მოშინაურება! როგორ წარმოიღენდა, ნინო იქ ჩა-
მოგიღოდა და ამ „უბრალო“ საქმეს ერ ჩატარებავდა. სამი ამდენი
„შემოეხარჯა“ წინათ, შაგრამ ნინოს სილამაზემ და მარიოდათმა ცველა-
ფერი დაჩიდილა. ახლა კი ამათდ წრიალებს, არავითარი საშველი არაა.
არა, დრო წასდა, დრო! სხვა დრო რომ იყოს, ვისმესთან ხელს მო-
ცვლიდა, ან რამე კომერციულ კომბინაციის მოაგვარებდა და სასამარ-
თლომდე საქმე აღარ მივიღოდა... ადამიანებიც რომ გამოიცალნენ:
სულში ფოლადი ჩიისხეს და ვერავითარი ხერხით ვერ მიუდგები. მოიცა,
იქნება შენ დაკარევე უნარი, არჩილ ჩემო! მეონია, შენი ნინოც გახუნდა
და არავითარი გავლენა აღარ აქვს. მაშ ვიღა ეშმაქს უმართავს ამელი
გახშამს? ქეიფის გუნებაზეა ახლა? ფოფხაძე? დაიკარგოს იქით, დო-
კულაპია! როგორც ეტყობა, არც მაგის შერჩა აეტორიტეტი... სიტყვით აშე-
ნებას დაგპირდენა, საქმით კი არაფრის გაეკრება აღარ შეუძლია... ექ-
ჩიხია, ჩიხ. არჩილ ჩემრ! შევი დღისთვისაც რომ არაფერი აქვს შემონა-
ხული. ნინოს ხელში რამე გადაურჩება კაცის. ის დღე რატომ არ და-
ქცა, როდესაც მაგის გადაუყარა. განა არ იყის, რაც შეილია. განა ერ-
თი, ან ორი საყვარელი გამოიცალა. მაგრამ მაინც რომ ვერ მოსცილდა.
მაინც რომ იშიდავე?! შხამია, მათრობელა შხამი...

წელვამართული სიარული შეენოდა მუდამ არჩილს, ტანზეც მოხ
დენილად იცავდა. ხშირად იცყოდა ხოლმე: „თვალი სვამს და თვალი
სჭამსო“. მიხერა-მოხერათაც თავის თავში დაჯერებულ ადამიანის იერს
ამელავნებდა. მაგრამ ახლა შეტისმეტად დაუმძიმდა ნაბიჯი, მის შემარ-
თულ აღნაგობაშიაც რაღაც რლევება შეიპარა. ბინისაკენ მიდის და ირ-
გველივ თითქო ვერაფერს ამჩნევს, სკოლასთან შესდგა მხოლოდ და სა
ხერავშე დაყუდებულ ყანჩის შეავლი თვალი. ყანჩია უბეს იჩიქწილა...
ყანჩიამ თავი ასწია და ცალი თვალით დააცემერდა არჩილს, ფრთხილიც
ვაისწორა და ნისკარტი მოიმარჯვა, თითქო იქვე ახლოს ქვეწარმავალ-
ვასრიალდა და მოულონებულად უნდა ეძევროს.

კიდევ უფრო მოეშვა არჩილი და გზა განაგრძო. აიგანზე რომ ავიდა
და ლია ფარგვარაში შეიხედა. ჯერ წარბები შექმუხნა და მეაცირი მრის-
ხანება, აღებეჭდა სახეზე, მერმე გესლიანი ლიმილი მოერია. პირველად
არაა, ასეთ სურათს რომ წააშეცდა არჩილი, მაგრამ მაინც ვერ შეეჩია.
ჭირივით სხავდა ეს კაცი და მოუტმენლად მოელოდა შესაფერ დროს.
როდესაც მას როგორმე თავიდან მოიცილებდა. ჯერ კი ძალაუნებურად
ითმენდა — ნინოს ხათრისაფერის და თვისი დახლორთული საქმის გამო.

მოსე მიქატაძეს ლილი მუხლებზე დაესვა და მამა-შეილი წამოვა;
ლული თვალებით ეალერსებოდნენ ერთმანეთს... ნინო სარეკსთან იჯდა,
წარბებს ისწორებდა.



არჩილს გესლიანი ლიმილი არ შეშრობია, კარი რომ შეატყობინოდა შესეს გადახედა და შეძლევა ნინოს დაცუქერდა.

ლილი მყისვე წამოხტა და არჩილს წელზე შოეხვია. სანებლიძეშ ავტომატურად გადაუსვე ბავშვის ხელი ლბილ კულულებზე და ნინოს თვალი აარიდა.

— როგორაა, არჩილ, საქმე? ცველანი ინახულე? — შეეკითხა ნინო. არჩილში ლილი მოიშორა და უსიტყვოდ ჩაიქნია ხელი.

გაძევებულ სტუმარიეთ წამოდგა მოსე, თავი ჩალუნა და კარისაკენ გაემართა. თავიდანვე ასეთი ურთიერთობა დამყარდა მათ შორის. არჩილი რომ მოუსწრებდა, მოსე დამნაშავესავით გაიპარებოდა. არჩილიც ისეთ გამომეტყველებას მიიღებდა, თითქო ვერც კი შეამჩნიათ. მაგრამ ახლა რაღაც შოაგონდა, ისე უუცრად, თითქო გადავიწყებულ სიტყვისავით ენაზე ადგა და მწვავე ნაპერწყალიჭათ იელვა გონების ბნელ კუთხეში. იმიტომ იყო ასე უჩიეულო, მოსე რომ შეაჩერა და მეგრძნებულად მიმართა:

— რა მიგაჩეარებს, შე კაცო? ჩემი მოსელა ხომ არ გეწყინა?.. ნინო გეტყოდა, ალბათ, ამ საღამოს როსენბერგში პატარა ვახშამი გვაქვა, და შეხც დაგვეწყიო, მოსე ჩემო!

— აი, ეს შესმის! — რუსულად წამოიძხა ნინომ და არჩილს ფარუზისფრი თვალების მოალერსე შეუქი შეაფრქვია.

— შე რომ არ მიყავიჩ დედას! — იჩივლა ლილიმ და სხე მოელრუბლა.

მოულოდნელი იყო მიქატაძისათვის ეს მისატიკება, მაგრამ მაინც არ დაიძნა.

— დიდი სიამოენებით, თუ კი თქვენ არ მითაკილებთ.

— როგორ გვყალება, მოსე ჩემო! რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ხეელი მეგობრები ვართ...

კიდევ რამდენიმე ტკბილი სიტყვა უთხრა არჩილმა და მოსეს ერთის წამით მოქმედნა, თითქო ეს კაცი მართლა მეგობარია მისი და ნინო — კანონიერი მეულე. მაინც მიხედა: ახლა მისი აქ დარჩენა უხერხსული იყო და ცოლმარი მარტოდ დასტოვა.

— რატომ ხარ, არჩილ, ასე მოწყებილი? — მოსეს გასელისთანავე შეეკითხა ნინო. — ახალი ხომ არაფერი გაივა?

— ეჭ, რა უნდა გამეგო, ჩვენი საქმე ისედაც წისულია!

— კარგი ახლა! რომ არ გშეენის შენ ასეთი უიმედობა!

— ერთი ამას უყუყრე! მშეენებისათვის მცალია მე ახლა? — მკაცრად შეესიტყვა არჩილი და ლილის გადაქრა თვალი:

— წადი, გოგო, მარტისიასთან სამზარეულოში!

ბავშვი რომ გაიიდა, წელმოწყვეტილიერი დავშვა სკამზე და ჩაჯარდნილი ხმით ჩაილაპარავა:

— გამოსავალი აღარაა, ნინო! დღემდე კიდევ მქონდა მცირე ამედი. არც ის მეგონა, თუ შენ ასე გაიძნელდებოდა იმ ყმაწევლის! მაშინაურება. სულ იმის წყალობით დაგვატყდა თავს ეს უბედურება...

ნინოს სახე დაენისლა, ყველაზე მეტად ის ეწყინა — ქმარმა რომ უძლურება უსაკველურა. შებლი შეიკრა და ქედმილლად გადახედა უსასოოდ თავდახრილ არჩილს.

— მჩერას ნუ დამსგავსებითარ! ეინ ნახე? რა გითხიეს?

„აპა, გველმა ენა გამოჰყო“, — უნებლიერ გაიფიქრა სანებლიძემ და შექრთა, დაიბნა, ცოლს თვალი ვერ გაუსწორა.

— რას მეტყოდენ? სანამ კაცს საქმე კარგად გაქვს, ყველა შენია, მარა ახლა გაეცემული აქვთ, არჩილს მახეში ფეხი ჩაუვარდაო და ყვილა თავს შორს იქვერს. არ მცონია, რომ ამ საღამოს მოვიდენ ისინი, კი სი მოსვლაც საჭიროა. ზოგი კი შემპირდა, მარა... ალანიამ ხომ გადაჭრით უარი მითხრა... ერთი სიტყვით, ნინო ჩემი, ამათ ხარჯია და მეტი არაფერი.

ნინომ ნელინელ გახსნა შებლი; დამცინავ ლიმილში ბროლისფერი შუქი გამოკრთა.

— მიღის ხელიდან ჩევნი არჩილი! — დაყვავებით ჩაილაპარაკა და თავზე ხელი მოსუვა, — რამ შევაშინა. შე საწყალო! განა არ იყო, რომ ამ ქეეყანაზე უსაშველო არაფერია? წელან მიხა იყო აქ და დამარჩმუნა — მაგ საქმის მოსპობა არც ისე ძნელია. ჯავრი ნუ გაქვს. მე და მიხა გამოვივლით ტაშბაშში აეტომობილით და იმ ყმაწევლის როვორმე წამოვიყან. შენ მართალი სოჭეი. მაგისთანა მიუკარებელი კაციშვილი ჯერ მე არ შემჩერდია. იმდენად ვერ დაეიძლოვე, რომ ამ საქმეზე მელაპარაკნა...

— მაგათი სინსილა გაწყდეს! — აღმოხდა სანებლიძე.

— დამშვიდიდი, არჩილ! ბოლოს და ბოლოს აქ თუ ვერაფერი გავაშვეთ, ტუილისში დავტრიალდები. რამდენი კაცისთვის გვიცია პატივი...

— აღარ გადის, არა, პატივისცემა და პურმარილი! — კვლავ ამოიკმინა არჩილმა.

— ჯავრი ნუ გაქვს! შენ ახლავე გასწი ჩოზენბერგში, ყველაფერი მოამზადე... კახური და კონიაკი წაიღე თან, არ დაგვიწყდეს.

არჩილმა მცირეოდენი შეება იგრძნო და მაღლიერად ახედ დახედა ნინოს. არა, ჯერ არ დამჟენარა მისი მშვენება, ისევ ის არის: ტანმალი, გულმკერდსავსე, მწყაზარ ქანდაკებასავით ჩამოსხმული, მწიფე უვაილის იერით უბრწყინავს სახე, და შესაძლოა საცსებით ჩაიძიროა კაცი ფირუზისსფერი თვალების სილრმეში...

აეტომობილში რომ სანოვავე ჩააწყო და ჩოზენბერგისაქენ გასწია, მხოლოდ მაშინ დამთავრა არჩილმა ბინიღან გამოყოლილი ფიქრი და

ასე დაასკვნა: „მით უარესი ჩემთვის! ციხეში რომ ჩემდებავენ,.. ნინო ჩემსკენ გამოიხდეავს?.. უცულმა ხომ არ ტრიალებს ეს ცხოვრება?.. ისე ვამოდის, თითქო მაშინ მოსე მიქატაძე არ ჩატრიალიყოს, ჩემთვის გადაეწყვიტოთ სასჯელი და ცოლ-ქმარი თავისუფალი დარჩენილიყვნენ. მაინც ასე არაა? თუმცა მოსე ახლა ვეღარ შესძლებს მის აჩვენას, მარა ნინო ისედაც ვაიტანს თავს, ვინმე შეძლებულ საყვარელს ვაიჩინს. მიქატარისათვისაც გზა ხსნილი იქნება... ლილი”...

არჩილმა თავი გააქნია და ირგვლივ მიმოიხდა.

მანქანამ ბარმაქისის რუსი სახლები უკან მოიტოვა და ვორის ძირას შემაღლებულ კორდისაკენ მიექანება. ხრამქესელები რომ ქციას თვალუწედენელ ტბად იქცევენ, იმ ტბის ყურედან როზენბერგიმდე რეა კილმეტრია. და ეს ლარივით გავლებული ზოლი, ეს თეთრი კოშკები და სტანდარტული სახლები დიდ სამწმაოთა დასაწყისია მხოლოდ. დამთავრდება ტაშბაშში დამხმარე სადგურის მშენებლობა და იმ რვა კილომეტრზედაც განაღლება ხრამქესელთა შეკპოვაზი იერიში, რათა ოთხს თუ შეტრაშე აღმართულ წყალსაწნევ მიღებში გადაეშვის რკინაბეტონში მოწიცდეული ჩერიალი. რამდენი ძალლონე და სახსრები დასკირდება ამ მთავარი გვირაბის გაყვანას...

ცაგრამ არჩილი დანისლული შეტრით გამყურებდა მინდვრებსა და უერთოებს და მისი ცნობიერების მიღმა რჩებოდა ახალი სიცოცხლის შემომქმედის მიერ სინათლის სცეტივით გავლებული ზოლი, მას მხოლოდ თავისი წარსული ეღვა თვალწინ.

გამნაზია არ დაუმთავრებია. მშობლებმა მცირეოდენი ქონება დაუტოვეს და კომერციულ საქმეს მიჰყო ხელი. მენშეციებს გიმნაზიიდან ან მიეკედლა. მართალია, არც დაპატიმრებული ყოფილა და არც გადასახლებული, მაგრამ არჩილი იმით კიდევაც ამაყობდა: უნარი მაქეს და ენდარმებს ხელში არ უვარდებით. ორგანიზაციის ხელმძღვანელთა წრეში ტრიალებდა, სანდო და საჭირო კაცად ითვლებოდა. სახელიც იყო და სახრავიც. თებერვლის რევოლუციის აღფრთოვანებით შეეცება და წელში გაიმართა, ვინაიდან „ეკრიპტულად ვანკიოთარებული კაცისათვის“ ურთობ ფართო ასპარეზი გადაიშალა. მხოლოდ მაშინ დაწყდა გული, როდესაც დამცურებელი კრების სიაში ცერ მოხვდა, და მოჩერენა, თითქო სხვები აღიღენ მაღალ საფრენზე და თვითონ ქვევით რჩებოდა. ლრმად ჩაფიქრდა და გადასწყვიტა — მატერიალური ბაზისი მაკლიაო და „კომერციული მოღვაწეობა“ კიდევ უფრო ვაძლიერა. ტფილისში საუკეთესო სახლი შეიძინა და მომარაგების სამინისტროს საფარველს. ქვეშ ფრთები გამალა...

კაცმა რომ სოქეს, ცოტათი კიდევაც გადააჭარბა მაშინ არჩილმა. შეტაც გატირებული დრო იყო. მოსახლეობა შემშილობდა. არჩილის სახლში კი ნადიმი ნადიმზე იმართებოდა. თუმცა რა უნდა ეწა არ-

ჩილს, სხვა გზით როგორ უნდა აქცილოდა ეკროპულად „ბრწყინვალე“ საზოგადოებისაკენ აღმავალ კიბეს? არჩილმა ხომ კარგად ცოტკიდო კუთხ-კრების გარდაუვალი კითხი: არსებობისათვის ბრძოლაში სილამაზის მიმა რჩევებს და სუსტი ისრისება. მაინც გაუელვა ერთხელ თავში — ეს ხალხი მოთმინებიდან არ გამოვიდეს. შემთხვევით მთავარ სახელოსნოში შეიარა და სეფასაეთ გაშლილ სისადილოში შეიხედა. მუშები უშა-ქრო ჩაისა და ცივ ჭაღს შექმეოდნენ, ეს გაუცრელი ჭაღიც არ იშვე-ბოდა მაშინ საქმაოდ.

საოცარია, ამდენი ხანი გავიდა და როგორ დაამახსოვრდა არჩილს. ასალო გურგენიძე რომ შეეხება მაშინ სახელოსნოს კარებში და ნალ-ვლიანი თვალებით დააცემულდა.

— რამ მოგაწყინა, ასალო ჩემრ? ხომ გაეიძარჯვეთ? კატორლიდან ხომ გაგანთავისუფლეთ? — შეეკითხა არჩილი.

ასალოს შრიარედ გაეცინა, წევერმოშვებული სახე ააჩიდა და გადა-კრულად უპასუხა:

— თქენ შეიძლება მართლა გაიძარჯვეთ, მაგრამ რა შეუაშია აქ მუშათა კლასი და მისი მისწრაფებანორ?

ჰო, დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, კულაფური ძირფესევიანად შე-იცვალა, მაგრამ არჩილმა მაინც მოახერხა და მსუქანი კერძი შეინარჩუ-ნა. დღეს კი უფსერულისაკენ ხომ არ ეშვება?

შრიარედ ამ დროს იეტომობილი ქვაუნილზე არახრახდა. ეს უკავი როშენბერგია: გერმანული ახალშენი, ერთი შეორის მიუკლებით ჩამ-შეკრიცებული თეთრი სახლები და ფართო თემშარები, ეზოებში აქა-იქ ხეხილი, ფანჯრების რაფებზე, ბრძოლივით გაპრიალებულ მინებთან ქოინებში ამოსული ნაირნაირი ყველები.

XXX

ამ ფართო დარბაზში არჩილსა და მის მევობრებს ხშირად უქე-ტნიათ. ქერა დიასახლისმა, რომელსაც ორი ახალგაზრდა ჭალი ეხმარე-ბოდა, გრძელი სუფრა მოხდენილდ გააწყო.

არჩილი კუთხეში მიღემულ ტახტზე იყო წამოწოლილი, იდაყვი ბალიშზე დაცურდნო და უაზროდ გაცყურებდა მაგიდაზე ჩამწერიცებულ ბოთლებს, კრიალა ჭიქებსა და საინებს. ის იხლა ცერც ამ თეოგერებან-სა და ოქროსფერ თმიან ჭალებს ამჩნევდა, თეალები გამტერებული ჰქონდა, თითქო თრიოდე საათის. წინათ მოავონდა ის, რაც უცებ გა-დაავიწყდა და როგორმე კვლავ უნდა გაიხსენოს.

ახალგაზრდა ჭალები ვანცვითრებით მიუხედავდნენ ხოლმე ლრმა ფიქრში დანთქმულ არჩილს და მერე ეშმაკურად გაუცინებდნენ ერთ-მანეოს, ვინაიდან კარგად იცოდნენ: სანებლიძეს არ უყვარდა მოწყენა, ა. „შნოობი“ № 9.

სადაცაა გამოერკვევა და ამოიღებას თაფლიან ენას. ამიტომ უკი /მათ-თვის მოულოდნელი, არჩილი რომ ანაზღაოთ წამოიქმნას უკავშირულდება/ გაეიდა გარეთ.

დამდებოდა. მოებს ქუფრი ბინდი წამოესხათ. დასაცლეთით ცის და-სალიერს იისფერი ლრუბლები გადაპუნდოდა.

სანებლიძემ თემშარა გადასიშრა და მარჯვენივ შეუხვია. იქედან ხე-ლისგულივით მოსჩანდა მოელი როზენბერგი. მალე ხრამშესრულის ცენ-ტრი აქ იქნება. ვეირაბის გაყვანა იმ მხრიდანაც დაიწყება. აი უკვე ავებენ მუშათა საცხოვრებელ ბინებს. ამ ხალებში კი ტუილისიდან გადმოსული მთავარი სამთაროებო ძოთავსდება და ეს ახალშენი ქა-ლაქს დაემსგავსება. ქციის ხეობა სახეს იცვლის. დავიწყების ბერებში გახვეული ნასოფლარები ახალი სიკრცელის იერით იმსიხებიან... სანებ-ლიძე ხეცს მიუახლოედა. ახლა უკვე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ის. რაც დღის თითქო რამდენიმეჯერ გადავიწყდა. შესლგა და ვიღა-ცას დაემუქრა:

„მაშ ისე ხომ!“... არჩილი ციხეში უნდა იჯდეს და მოხე მიქატაძემ ცოლშეილი დაიბრუნოს? სანებლიძის მიერ გამოზრდილი ბავშვი მიქა-ტაძეს მამად უნდა სთვლიდეს? არა, ამას ვერ დაუშვებს არჩილი! ვრა-უსი, იქნება მოსეს უკვე აღებული აქვს ალლო და გუნებაში ზეიმოში. შურისმიერას პირებს გლახავი. რა? ნინოც თანაფრინობს კიომე? იქ-ნება ამიტომ არ გამოიჩინა თავისი ძლიერი უნარი... ან კი რა დისავე-რებელია, იმ ვეელის წილშიმა ალანიამ მაგის ეშტს ვაუძლოს! არა, აქ სხვაგვარალა საქმე დახლართული. ეშმაკი ქალია ნინო, მიხედა, არჩი-ლი ამოიწურათ. მაგრამ სცდები, ნინო ჩემო! არჩილი ისე არ წახდება, რომ თითონო ჩაჯდეს და მიქატაძე შენს ვერდით დასტოოვს...

ნაპირალს მიადგა და უფსერულივით გადანისლულ ხევში ჩაიხდა. სა-ლამოს ბინდი ჩამოწოლილიყო ამ სკეპტიკით პირდალებულ ხრამში და თავქვე დაქანებული მდინარე არ მოსჩანდა. არც მისი შეული აღ-წევდა ფრიალო კლდის კბოდემდე; ჯურომულებიდან იღუმლად ამო-მავალ ყრუ ბუბუნს თუ მოპერავდა კაცი ყურს.

ამ ხევში შენდება ხრამშესის საეკენერატოზო სადგური. თითქმის ნახე-ვარი კილომეტრის სიმაღლეშე აღიმართება ვეება წყალსაწწევი მილე-ბი და 40,000 ცხენის ძალიანი ტურბინები ავრიალდება. გზიდან გზამ-დე, სოფლიდან სოფლამდე, ქალაქიდან ქალაქამდე ჩამწკრიცებულ ან-ძებშე ბროლის გაღიერებში დამწყვდეული ელვისფერი ფრინველები შე-ფართქალდებიან და აქაფებულ ჩქერალში ნაფეთქი შუქურვასკვლავე-ბი გაანათებენ განახლებულ კუთხეს ქართლისას...

მაგრამ სანებლიძე ახლა ამაზე არ ჰავირობდა, მას სულ სხვა სურა-თი ედგა თვალწინ და გული მწვავე ტკივილით ეკუმშებოდა. არასოდეს

ასე მძაფრად არ დაუფლებია გრძნობა მარტოობისა, თითქმი მოვალეობის ეს უშიარმაზარი ქვეყნიერება სხვა სფეროში, სხვა გზით მიმმართებოდა და საცემით უშემწეოდ სტრეტდა ნაპრალის პირად განთვისებულ არის. არავინ არის ახლა მისი სევდის თანაზიარი — არც ცოლი, არც შვილი, არც მეგობარი.

ორშომში ყრუ გუვუნი დაირჩა. ტაშბაშელებმა ლალუმები ააფეთქეს სულ ახლო მიადგა კონდეს და გადაბინდულ ხრამს დააცეკერდა: „ხომ შეიძლება მოვრალ კაცს აქ ფეხი გადაუდეს და... მინიარემდე სული არ ჩაჰყება, კუერცხივით გასცდება!“

შეაგრძოლა და უკან დაიხია. დიდხანს იმზირებოდა ორგვლივ — ხომ არავინ მხედარები. მერმე სამჯერ გაზომა მანძილი განაპირო სახლამდე. ყორედან სამოცდახუთი ნაბიჯია; ეს რიცხვი ღრმად აღიბეჭდა გონებაში. სამოცდაორის შემდეგ შეუძლია ხელი ჰკრას და უკან გამობრუნდეს; ვინ გაიგებს. არჩილ სანებლიდე რა შუაშია, მოვრალმა კაცმა თუ სადღაც ხრამში კისერი მოიტეხა...

ამჩატდა, წელში გაიმართა. მისებური ლიმილით შეეიდა სანადიმოდ მორთულ დარბაზში. ახალგაზრდა ქალებსაც სახე გაუნათლდათ, თოვლიერით თეთრი წინსაფრები ვაისწორეს და ქვეშ-ქვეშ გაიცინეს. დიასახლისს სანოვაგისათვის მცირეოდენი ფული შემოკლებოდა და არჩილმა მეტისმეტი გულუხვობა გამოიჩინა., ორჯერ მეტი მისცა.

სუფრა მართლაც ჩინებულად იყო გაწყობილი: კახური და გერმანული ლეინო, კონიაკი, ერბოში შემწევარი გოჭი და წიწილები, ყველი და წვანილი ბლომად...

არჩილმა ხირბად მოაელო თეალი მაღის გამლიზიანებელ საჭმელ-სასმელს და ცალყად გაეღიმა, უნებლიერ გაუელვა თავში: „შხამად შეგრვოთ, თუ მშ გაჭირვების დროს არ დამებმართ“.

ავტომობილს არ დაუგვიანებია. არჩილმა მოუთმენლად გადაიხედა აივნიდან, მაგრამ ღრუბლიანი ღამე იყო და ვერ გაარჩია, ყველანი მოვიდნენ თუ არა. კიბეზე პირველად ნინოს კოვერკოტის პალტო იშრიალდა. სახეზე დააცეკერდა და წამსვე მიხვდა — ნინოს კარგი ამბავი არ შოჰქონდა. ჩავარდნილი ხმით შეეკითხა:

— ვინ გვაკლია?

— კარგი ახლა! ნუ ხარ სულწასული! ამოვლენ ავტ და გაიგებ! -- კუშტად უპასება ნინომ და გაჩირალდნებულ დაბაზში შევიდა, დიასახლისს ქრძმალლად მიესალმა, ახალგაზრდა ქალებს თეალი აარიდა და მდიდრულად გაშლილ სუფრას წარბშერქმით გადახედა.

შევიდამდე სტუმარს მიევება არჩილი, მაგრამ მათ შორის არც გიორგი ზეგრიშვილი იყო, არც ბაგრატი და არც ლალი. კარიბჭემდე მიუძღვა მათ და როცა აივანზე მარტო დარჩა, დამძიმებული ნაბიჯით გაიარ-

გამოიარა მოაჯირილან კედლამდე. „მორჩა, ამ საქმეს უკაფერულ ჭირობა... მაინც შენეობა ვმართებს, ხომ იცი: სამოცდა ხუთწყაროება

— არჩილ! — მოესმა ნინოს ხმა და პირზე ლიმილი აიფარა, დარბაზში შევიდა და სტუმრებს თავულისფერი თვალებით გაუცინა.

მიხა ფოტხაძე დალევრემილი იყო, წვერი კი გაეპარსა, მაგრამ წინა დღეებში განცდილ მწუხარებას, ბავშვის გარდაცვალებით გამოწვეულს, მის სახეზე ლრმა კვალი დაემჩნია, განთვისებული თვალები კიდევ უცრო ცალცალკე და ცივად გამოიყურებოდნენ. არტემ ბარსეგიანი სიღარბაისლეს ჩემულობდა და ნინოს ნაძიები სიტყვებით ესაუბრებოდა. მოსე მიქატაძე ფანჯრის ჩაფისთან იდგა და ყვავილებს თოვალირებდა. საჭყობის გამგე და მოფერი ახალგაზრდა ქალებს ეხმატებილებოდნენ. საერთოდ ცველანი იმ უხერხულობას გრძნობდნენ, როგორიც სჩვევიათ ხოლმე წყველებს სუფრასთან დაჯდომის წინ.

— ჰო, მართლა! — გადაულიპარია მიხამ არჩილს. — გიორგი და ბაგრატი ვერ წამოედინენ, მართლა გადაუდებელი საქმე აქვთ, ეს შე კარგად ვიცი. ტაშბაზში ვიყავით, მაგრამ ალანიამ ნინოს დიდი ბოლომით უარი უთხრა. დარწმუნებული ვარ წამოედოდა, მაგრამ გვერდით ის ენა-მოშამული გურგენიძე ედგა და იმისი მოერიდა. ჩერჩეტია მაგ უბედური, მაგას გონია, გვირაბი თუ ორი დღით გვიან დამთავრდა, ქვეყანა დაიტეცა.

არჩილმა გულნაშუნობა არ შეიმინია და მეგობრულად დაყრდნობისას მხარზე ხელი.

— რა გაეწყობა, მიხა ჩემო! შენ იყავი კარგად და... ხომ დამიჯერებ. ჩემი ერთადერთი ბავშვის კუბო დამეცვას, თუ შენზე უკეთესი ძმა და მეგობარი შე ვინმე მყავდეს...

მიხა მოილუშა. თვითონ ტკბილი სიტყვა იშვიათად წამოცდებოდა და სხვის მიერ ნათქვამიც ეუცხოებოდა. თუმცა გულის სიღრმეში კი ეამეცხოდა, მაგრამ მას მყისვე პატივმოყვარეობით შევეღილ ჯავშანს გადააფარებდა.

სანებლიდებ სტუმრებს სათითოად ჩამოუარა და სუფრასთან ადგილი მოუჩინა. მოსე მიქატაძეს განსაკუთრებულის მზრუნველობით მოხევა ხელი და დაყვავებით შეეკითხა:

— რამ მოგაწყინა, მოსე ჩემო? გამხიარულდი, შე კაცო!

მერმე სუფრის თავში დაჯდა და თამაცობა იყისრა.

ნინოს თავი ქუდმალდად ეკირა და დამცინავი ლიმილით იგერიებდა ბარსეგიანის ნაძიებ სიტყვებს. რამდენიმეჯერ მოაცლო თვალი ირგვლივ და ტუჩები ისე მოკემა, თითქო მის გარშემო ერთი ისეთი სახეც ვერ აღმოაჩინა. რომელიც ამეგაძღვა ზიზღლს არ ჰვერიდეს მას. მუდამეამს ყველაზე მეტად თავის თავს, თავის სილამაზეს, თავის მხიბლავ ძალის ენდობოდა. ამ საღამოს კი, ლადისთან შეხევდრის შემდეგ, ისეთი მძაფრი ეჭვა დაეპარა, თითქო სტკედილის პირისპირ მდგარიყოს. ახლა არც

არჩილი ახსოვდა, არც მისი დახლართული საქმე, ლილიც კი ამ მოვ-
გონებია უსასოთ ფიქრით გულშეჭირვებულს. რა მოხდა? მეტ თუ მარ-
თლა დაიშრიტა მისი ეშხი, მისი ზღვასავით უძირო თვალდებულს ყოველის
შემძლე ელვარება? გარეცნულად რომ არაფერი ემჩნევა! განა ორიოდე
კეირის წინათ არ იყო, პირველი შეხვედრისთანავე რომ მკერდზე და-
კონა? დღეს კი... არა, ყველაფერს აიტანდა ნინო, ლადის თვალდებში რომ
ზიზლი არ ამოკეცითხა. განა შეიძლება კაცს სილამაზე შეეზიზლოს? იქ-
ნება უცებ დაუბერა მსუსხავდა ქარმა და მოულოდნელად დააკენო მისი
ლაშვები, იქნება ოდესალ ბრწყინვალე ქალბატონის — მისი დიდდედის
სახეს დაემსგავსა, მოხარშულ ვაშლის კანივით მომხრივალსა და დალრე-
კილს. მაშინ რაღა ფასი იქნეს სიცოცხლეს? ან ამ ხალხთან რა აქვს სა-
ერთო?..

ვერ მოითმინა. აღვა, კუთხეში მივიდა და სარკეში ჩაიხედა. არავი-
თარი ცვლილება. სეედიანი იქრი გადაპყრიას მხოლოდ, მაგრამ ეს თით-
ქო კიდევ უფრო ამშენებს. წინათ შავ თავსაფრიანი ლამაზი მონაზონი
მოსწონებია ასე. მწარედ გაელიმა და მა ლიმილმა მხოლოდ მაშინ იცვა-
ლა ფერი, როდესაც მისი საღლეგრძელო წარმოსონებეს.

სანებლიძემ ღვინის ჰიქა კონიაკით გაავსო და მოსე მიქატაძე ვამოი-
წვა თაფლისუერი თვალების ციმციმით. ამ მავარი სასმელის შემდგა-
სტუმრებს მაღა გაუძლიერდათ. მციროდენათ რომ დანაყრდნენ, და-
ჩილმა ჩაის ჰიქა ასწირ და პირველადევე წინასწარ მოფიქრებული შეც-
დომა დაუშვა: მიხა ფოტხაძის საღლეგრძელო წამოიწყო.

მიხამ შეაჩერა და აღშფუოთებით წამოიძახა:

— ა, ბატონო, ა! შენ, ჩემთ ძმათ, ქართველი არა ხარ? ვის გაუგო-
ნია, ქალი გვერდით გეჯდეს და... მეტე ვინ, ჩვენი ძვირფასი და მშევნიე-
რი ნინო!

მას კუელამ ბანი მისცა, მყისვე ადგნენ და მცევრშეტყველებაში ერთ-
მანეთს შეეჯიბრნენ.

გახურდა სმა. დარბაზი გაიცსო თამბაქოს კეამლით; სულრამ აღრინ-
დელი წესრიგი და შენ დაპყრიგა. აქა-იქ ღვინო დაიღვარა. გახრული
ძვლები და ნამწერავები ერთმანეთში იირია. ხმას აუწიეს. წამოგზნებულ
სახეებშე თითქო ორთქლი ასდიოდათ.

არჩილმა თავიდანვე დიდი სასმისით დაიწყო და მერმე აღარ შე-
უცვლია. სხვებს, განსაკუთრებით კი მოსე მიქატაძეს, თვალს იდევნებ-
და, რათა ჰიქაში ერთი წვეთიც არ დარჩენილიყო, თვითონ კი მოხერხე-
ბულად სცვლიდა სასმისს და მესამედსაც არ სვამდა, ხოლო თაფლიანი
ენა დიდის თასტატობით აამეტყველა, სტუმრები ცამდე იყვანა და ყვი-
ლას მაღალფართოვანი ხოტბა შეასხა: მოსე მიქატაძის საღლეგრძელო
რომ მოაღწია, გრძლად გაბმულ სიტყვებში რატომლაც ასეთი ფრაზა
გამოუჩია:

— წინათ იტყოდენ, მოსე ჩემო, და მოლი ახლაც ესთქვათ, სამას/სა-
მოცდახუთი წმინდა გოორები შეგეწიოს, ხომ გესმის — სამოცდა ხუთი!..

ამ სიტყვებშე ყველას გაეცინა, ხოლო ფოფხაძემ თვეის — არტყოდლა-
გიურიობა გამოამდევნა და ბოხი ხმით წამოიძახა:

— ა, ბატონო, ა! გადაფხიკე ახლა მაგენს ტყავი და ნახავ, თუ ღეთის
მორწმუნები არ აღმოჩნდებიან!..

მოსე მიქატაძემაც მოსწრებულ ოხუნჯობად მიიღო ეს „სამას სა-
მოცდა ხუთი წმინდა გოორები“ და სიცილი წასკდა, ხოლო თეთრ არჩილს
ამ ფრაზის წარმოთქმისთანავე ყბა ოდნავ მოელრიცა, ვაჟითრდა და პი-
რი ლია დარჩია, თითქო რალაც საშინელებას ჰქიდი თეალი და მომნუსა-
ვი შიშით გაიმსკვალა. ვონს ჩომ მოვიდა, ნაძალადევად გადიხარხარა
რამდენიმე სიტყვით კიდევ შეამქო მოსე და ჭიქა ძირამდე გამოსცალა,
ხელში ბურთივით შეათამაშა და მიქატაძეს გადასძახა:

— ასე დაიცალოს, მოსე ჩემო, შენი მტერი და ორგული!

სტუმრებს ღვინო მოეკიდა. ზოგმა ბაეშერი მეამიტობით გახსნა გუ-
ლი და გვერდით მჯდომში სიყვარულსა და მეგობრობას სთავაზობდა.
ზოგს სახე დაენისლა და თვალები ამოუღამდა, ზოგი შეუთავედა და სი-
მღერის წამოწყებას ლამობდა, მაგრამ თამაცა მგლოვიარე მიხაზე ანიშ-
ნებდა ხოლო და ჩაეტურებდა. ცაჭყალი გამგემ და შოფერმა ახალგაზ-
ზრდა ქერა ქალები გვერდით მოისცეს და გაბედულად ეარშიყებოდნენ.
ნინოც გამოცოცხლდა, სასმისი რამდენიმეჯერ გამოსცალა და ღაწევები-
აუყავედა.

— მიხა, გენაცვალე, ნუ გეწყინება, ამ საღამოს საშინლად მოწყენი-
ლი ვიყავი და როგორმე ეს სევდა უნდა გავუანტო. — გადაულაპარია
ფოფხაძეს და წამოდგა, კუთხეში პატეფონი მომართა, ფირფიტა შეაჩ-
ჩია და მთერალ სტუმრებს ანთებული თვალებით დააცემერდა. მარჯვე-
ნა ხელი მბრძანებელივით აღმართა და:

— აბა, ტაში!

გადანისლული სახეები წამოსწიეს, ჯერ სიცილი და ხმაურობა ატ-
ყდა, შემდეგ აქა-იქ ხელი-ხელს დაპკრეს და სულ მალე დაფდაფივია
რიტმიული ტაში ააწყვეს.

ჯერ ნაზად, მომხიბლავი კდემამოსილებით შეარხია ნინომ უზადოთ
ჩამოსხმული ტანი და პატროვანი სიმსუბუქით გავოგმანდა, თითქო მორ-
ცხეი ქალწული შეიქრა უცნობი საზოგადოების წრეში და გაფრენს
აპირებსო. ცისფერი კრეპლეშინი ალიონის შუქივით ჰქინდა შემოვარსუ-
ლი და გამსჭვირვალე ბურუსში ხვევდა მის მდიდარ აღნაგობას. ორჯერ
შემოვარა აც და ანაზღაა: მოსწყდა, აენთო, აშრიალდა, ზღვიდან ამო-
ვარდნ-ს. სიუნივერსიტეტი მიმოფანტა ირგვლივ მოელვარე ნანჩქრევი და
მძაფრად დაეუფლა ყველას აწყვეტილი ვნების ჯაღოქრული ძალა...

ლვინისაგან გამოფხილდნენ და უფრო მეტად დაითვრნენ, მაჯაფო-
ებულიერი უკრავდნენ ტაშს და თვალებში ნიაზის წყალი ჩასდგომუდით.

უცებ შესდგა ნინო და მოწყერებულ თვალებს კანისერწყლების
მფრქვეველი თვალი გაუსწორა, მერმე სიამით გაელიშა და ფოფხაძის
გვერდით დაეშვა.

— ქალი კი არა, ღმერთია, ღმერთი! — თავდავიწყებით წამოიძახა
არჩილმა და მოზრდილი ვაზა ლვინით გაავსო.

— ექისტრა, მეგობრებო! ალავერდი შენთან, მოსე ჩემო!... ჰა, ჰა, ჰა.
არ დავგვიწყდეს, მოსე ჩემო, სამას სამოცდა ხუთი წმინდა გიორგი, ხომ
გეშმისა, სამოცდა ხუთი!

ამ ვაზამ ყველას წელი მოსწყეიტა. უცარი აღვიწების შემდევ ეს
სასმისი დამბლასავით დაეკათ. არდაირივნენ. საწყობის გამგე და შო-
ფერი ახალგაზრდა ქალებს გაპყვნენ. მიხა და ნინო მერჩე ოთახში გა-
ვიდნენ, ზოგი მიწვა და მკვდარიერით ჩაეძინა.

მოსე მიქატაძე ბარბაცით შემობრუნდა დაჩბაზში, მაგრასთან და-
ჯდა, იდაუყს დაეყრდნო და წმინდერილი თვალები გაუწერდა.

სანებლიძეს გესლიანი ლიმილი მოერთა, ჭიქა გაავსო და მოსეს მიუ-
ახლოედა.

— როგორ ვართ, მოსე ჩემო, ლვინომ ხომ არ დაგამძიმა?

მოსემ უაზროდ ახედა არჩილს და ტუჩები კურდლელივით აცმიაცურა.

— ეს, მოსე! — ნაღვლიანდ წარსთქვა არჩილმა და მიქატაძეს მხარ-
შე ხელი დააყრდნო. — რაღა ვართ ახლა ჩვენ? ყოფილი ადამიანები,
მეტი არავერი! გახსოვს, რა კარგად გვქონდა აწყობილი საქმე? ჩა ნაჯ-
დი შემოსავალი და უზრუნველი ცხოვრება! ახლა მეც შენს მდგომარე-
ობაში ვარ. ნუ გაგიკვირდება, თუ... ჸო, მე ხომ არავერის მენდური, მო-
სე ჩემო!

მიქატაძემ თავი ჩაღუნა და ჩაერდნილი ხმით ჩაილაპრავა:

— არა, არა... შენ და ნინო რა შეაში ხართ, მე ამ ცხოვრებამ მომი-
ლო ბოლო.

— სრული ჭეშმარიტებაა, მოსე ჩემო! — დაემოწმა არჩილი და ირ-
გველივ მიმოიხედა, ხომ არავინ გვისმენს.— ჸო, სრული სიმართლე! ჩვენ
ჩვენი გზა გვქონდა, მოსე ჩემო! ხომ გახსოვს, ერთ დროს მე დამცუძნე-
ბელი კრების წევრობის მოველოდი. მართალია, მაშინ იმედი არ გამი-
მართლდა, მარა ჩვენი დრო რომ გაგრძელებულიყო, ვანა ახლა პარლა-
მენტის დეპუტატები არ ვიქნებოდით ჩვენ? ვიქნებოდით, მოსე ჩემო,
უთუოდ ვიქნებოდით. ამისათვის განათლებაც ხელს გვიწყობდა და შე-
ძლებაც...

თაეჩაქინდრულ მიქატაძეს, ლვინით გაბრუებულს, არჩილის სიტყვე-
ბი ბუნდოვნად ესმოდა, ტუჩებს კურდლელ ვით აცმიაცურებდა და თვა-
ლებიც კურდლელიერით ჰქონდა წამობრილი.

არჩილმა კვლავ ირგელიც შიმოიხედა და მერმე მაგრად შეასულია.
მოსკოვის ინტერნაცია

— გამოფხიზლდი, მოსე ჩემო! ძილს მერეც მოვასწორების! წმიანთა სუ-
ფთა პატიონი გაეიაროთ. დიდი ხანია ჩეენ ასე გულდაგულ არ გვისაუ-
ბრია...

მელავში ამოსდო ხელი და ააყენა; დარხეული ნაბიჯით გაეიღნენ
გარეთ.

ლამე ბნელი იყო და მყუდრო. ნიავს ფრთხი დამძიმებოდა. მთებიდან
ჩამოწოლილი ლრუბლები თუ იგრავნებოდა სერიდან სერამდე. სოფელს
ეძინა. ძალებიც არ ყუფდნენ.

და დუმილი იყო ისეთი, როგორიც ქციის ხეობაში განმარტოვებულ
მგზავრს უნებლივი ირგვლივ მიმოახეცებს ხოლმე.

ყორესთან შესდგა არჩილი და მოსეს წელზე ხელი მოხვია, თითქო
ჩისილაც შეეშინდა და მეგობრის სიახლოეთ უნდა დაიშვიდოს შეშფო-
თებული გული.

— ჰო, იმას ვამზობდი — განაგრძო მერმე, — აგრე თარმოცდათ წე-
ლიწადს ცეიხლოვდებით. ამ დროში კი კაცმა სამოცდა ხუთი წელიწადი
ჩომ ვაძლოს, ისიც დიდია. ხომ ვესმის, მოსე ჩემო, სამოცდა ხუთი!.. ჩა-
ლა დაგვრჩინია! ხუთმეტი წელიწადი!

სანებლიძემ გეზი გამოითა და ნაბიჯის თელას შეუდგა, თან უფს-
კრულიდან ამომავალ ყრუ ბუბუნს მოპერა ყური და გააქრეოლა; ენა
ჩაუვარდა და სმენად იქცა. საკმაოა ნაბეჭარი ნაბიჯით გადაცდეს ამ
სიბნელეში და... მაგრად მოხვია მოსეს ხელი და ოდნავ წინ წაიმდლეარი,
თითქო კიბეზე აყვანის უპირებსო. მაგრამ მოსეს რაღაც მოუვიდა, ანა-
ზდათ მობრუნდა და არჩილს მოეხვია.

— უმ. არჩილ, ძმაო არჩილ! — დაიხრიალა და სანებლიძეს დუდიანი
ტუჩები მოუსვა ლოცაზე. — ჩა ქალია, ამ, ჩა ქალია ნინო!.. არაფერი გე-
წყინოს. ძმაო!.. დღეს ხომ სამუდამოდ შეკრიგდით ჩეენ, ამ, ხომ შეკ-
რიგდით?.. მე შენ არ ვამტყუნებ, არჩილ! ნინოსთანა ქალს ეინ გაუძლებს? ხომ
შეხედე, როგორ იციკვა, ხომ ღმერთივით იციკვა, ამ?..

არჩილს ნაბიჯის სათვალავი იერია და ყორესთან მიბრუნდა. მოსებ
ენა ამოიდგა. ისეთი გულითადი ტრნით ელაპარაკებოდა, ჩომ სანებლი-
ძე ერთის წამით შეყყმანდა, თავის განზრახვებზე კინაღამ ილო ხელი-
მაგრამ როდესაც მიქარაძემ ჩამდენიმეჯერ ლილი ახსენა, არჩილმა სიმ-
წრისაგან ტუჩებზე იქმნა და გაშმავდა. ხმაში მაინც სილბო შეინარჩუ-
ნა და მოსეს მიეფერა, კვლავ წელზე მოხვია ხელი და ნაბიჯის თელა
დაიწყო.

ხოლო მოსე ნაწყვეტ-ნაწყვეტ განაგრძობდა:

— ...ისეთი ქალი ვის არ დაიმონებს, ამ... ხომ ასეა, არჩილ?.. შენ
ვინ გამტუნებს.... მეც უნდა შემიბრალო... ჰო, უნდა შემიბრალო... მამა

ვარ, შე ურჯულო, მამა!.. რა, შენ გამოხარდე? რა კუყოთ მეტე! ჩემი სისხლია, არჩილ ძმათ, სისხლი! აქ, იცი შენ რა არის სისხლი? სისხლი სულია აღამიანის, უკვდავი სული... აქ, მაინც ვიღუპებით!.. სწორია, არჩილ: საშველი არაა... გინდა აქ ყოფილხარ ჯოჯოხეთში და გინდა ქვე-სკნელში... არა, ჩვენ ჯერ კიდევ უნდა ვიბრძოლოთ, არჩილ... ხომ იცი — ხერხი ჯობია ღონესა... უნდა გაძერე კაცი და გამოძერე... ასეთია ეს ქვე-ყინა...

სანებლიძემ მკერდი ბეჭებ მიაბჯინა მოსეს და მარჯვენა ხელი კი-ლევ უფრო მავრად მოხვაა, მაგრამ რამდენიმეჯერ მაინც დაბარბაცდნენ და შიშმა აიტანა — მანძილის გაზომვაში არ შევცდეო: სამოცდა ერთი რომ დაითვალა, მთელი სხეული შეეკუშშა შრვავდ და ბიძეისათვის მო-ემზადა... უეპრად მფეთქვე ალი შემოქნოთ და ელდა ეცა: ორჯერ ზე-დიზედ იყლვა, გალმა სერს მტრედისფერი შექი მოესხურა და სიბნელეში გართხმული ევლი შევად პირდალებულ ხრამად იქცა.

მიქატაძე მყისვე გამოტხიზლდა, მარდათ შემოტრიალდა, არჩილს წელში ეცა და სასაკლაოზე მიყვანილ პურუტყვივით დაიზმუილა... სა-ნებლიძეც გააფირდა და ორთაცები სამკუდრო-სასიცოცხლოდ შეიჭიდ-ნენ... წყვდიადში გაეხვინენ და გაგნების უნარი დაქარგეს. არჩილს ეგონა ხრამიდან უკან ვიხევო, მაგრამ მოსტყუდა, კბოდებე ფეხი გადა-უდა და მოსე მიქატაძეც თან ვადაიყოლა.

XXXI

უძილობისა და ფეხზე დგომისაგან დაქანული ლადი ალანია სამე-ქანიკო ფარდულის წინ ჩამოჯდა და მაღლა აიხედა. ბობოქარ ქალაქის ქუჩაში მიმავალი მეზაერი რომ უეპრად ცის ნაჭერს მოჰკრავს თვალს და შორუული სივრცების მყუდროება გააკეთებებს, სწორედ ისე ეუ-ცხოვა ახლა ლადის ეს მოხსისახე სერები, ხევში ჩამომდგარი სიიბრ და ფუმილი. ლამის სამი საათიდან აქ ტრიალებდა, რიერავმაც აქ მოუ-წრიო, ახლა უკვე შეადლე ახლოვდება და ლადის კი პერნია, თითქო პირ-ველად იგრძნო სეტემბრის მზიანი დღის დამტკბარი სუნთქვა.

ჯიბილან ცხეირსახოცი ამოილო, გვირაბში დამტცერული სახე მოი-წმინდა და კულავ იმავე სერებს დააცემად; ტუჩები ოდნავ შეერხა და მზიანებან დამწეარი ლაშვები და თაფლისფერი თვალები შინაგანი ლი-მილის იერით დაუმშვენდა.

მის გასწვრივ ტყით შემოსილ ფერფოებიან ქედების თხემებს ლრუბ-ლის სპეტაკი ტალღა გადაპყრობდა და ისე ბრწყინვდა, ვით სხივდა-ფრქვეული ფიფქი თოვლისა. ამ დარხეულ ტალებს ზევით, ცის ლა-ზარდში, თქმისფრის ფოთილები მიმრ უანტულიყო, წამისწამ ალივით ენ-

თებოდნენ და დნებოდნენ. როზენბერგის სიახლოების, ხრამის პირად, იქ, სადაც საკუნძულო ტორი საფეხური უნდა აშენდეს, სვავები, და ყოთნები დაფარტატობდნენ; ვინ იცის, იქნება პირუტყვი გადატერიზაციალურ დღეზე და გახრწინილ ლეში დასტრიალებენ... აქ კი დამტკარი სიოთონა და შეუდროება, ცის იტრში დანთქმულ თვითმფრინავის შრიალივით მოისმის მხოლოდ მდინარის გაბმული ჩქინიალი.

ლალიმ ლრმად ამოისუნთქა და გადამწუვიტი დღეების საზრუნავი წარმოესახა.

ამ სამ დღეში გვიჩაბი უთუოდ უნდა შეერთდეს, გვეგმა ვადამდე უნდა შესრულდეს. ხრამესელთა მთავარი ძალები — მუშები, ინკინერები და ტექნიკოსები ტაშბაშში გადმოვიდნენ იქრიშის გასაძლიერებლად. ნიკო ვოგოლაძისა და ვასო დვალიშვილის ბრიგადები გააფორმებით იბრძვიან. ვოგოლაძის ბრიგადა ერთხანს წინ მიიწევდა, მაგრამ უკანასკნელ დღეებში ვასო დვალიშვილმა ისე დარაზმა თავისი ბიჭები, ისეთი მძაფრი შეტევა გააჩალა, რომ უკვე საზღვარს უახლოედება, შესაძლოა, ნიკო ბუქსირზეც კი იყვანოს.

საოცრად იზრდება ეს ლიმშეუმშრალი ქაბუკი! ლამის უკან მოიტოვოს დაეითაცა და ნიკოც. დღედალამე ვასწორებული იქვს და დალლალობა მაინც არ ემჩნევა. „აბა, ბიჭებო, არ შევრცხევთ! იერიში!“ — ლიმილით შესძეხებს ხოლმე ცელას და სარდალიერი გვიჩაბში მიუძლვება. მთელ ყურადღებას შრომის მიზანშეწონილად ვანაწილებასა და ხელსაწყოების წინასწარ მომარაგებას იქცევს, რათა მუშაობის დროს არც ერთი წუთი ამაოდ არ დაიკარგოს. თვითონაც ოფულში იწურება და სხევასაც შემომზედი შრომის ცეცხლით ანთებს. ამას წინათ, მისი წინაღადების მიხედვით რომ გარდაქმნეს მუშაობა, ავთანდილ წერეთელი განზევადგა და ამზრიზა, ახლა კი ამბავო მაისურაძესაც არ ჩამოეცარდება. მელავლონიერად ჩაველებს ხოლმე ნიჩაბს ხელს, მტვერში გაეხვევა და ვაგონეტს ტვირთავს.

შენებლებმა მოახლოებული გამარჯვების შექს ჰქიდეს თვალი და დაბაბული მღელვარებით აღსავსე დღესა და ლამეც ამ შექსის ციმციმში გაეხვია.

უკვე გამართეს ტელეფონი გვიჩაბის სათავიდან სათავემდე და შეერთების დროს კავშირის გასამელად მზად არიან. მაგრამ ხომ შეიძლოა ტოპოგრაფი ინგარიშში მოსტუკედა და ბრიგადები ერთმანეთს შესცილდნენ? ეს არავის სჯერა, არც ლადისა და სხვა სპეციალისტს, მაგრამ მუშები რომ ამ უზარმაზარ კლდეს თვალს შეავლებენ, უნებლივდ გაკერავთ ეცევი: განა მოსალოდნელი არაა ამ ქვესკნელში მიმართულება ოღნავ გამზრულოს და...

მაშინ გამოჩენდება ხანდაზმული ტოპოგრაფი, შვიდი მოსწრებული შეიღილის მამა თელორე და ლინჯად და მტკიცედ ეუბნება ხოლმე მათ:

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო! ხაზი სწორია! გაბედულად გასწიათ წინ!..

ფარდულში ასალო გურგენიძე და სარდიონ წილოსანი მეტაპერენიერ ასალო ტფილისილან დაბრუნების შემდევ მოსასუენებლად ღლერაშეში თოხ-ხუთ საათსაც ვერ იმეტებდა, ეინაიდან მექანიზმების შეუფერხებელ მუშაობაზე იყო დამოკიდებული გვირაბის ვადამდე დამთავრება. წუხელის ლადისთან ერთად ადგა, კომპრესორი და ვენტილატორი დაათვალიერა, და ღილით სარდიონს სახელოსნოში დახვდა.

ლადი რომ ფარდულის წინ ჩამოჯდა, ხანგრძლივად დააცემერდა მას ასალო და სქელი წარმები ისე ასწია, თითქო თვალს უჩრდილავს, თან ღიმილი მოერია და მოუპარსავი, თეთრად აბურძგული ლაწვები ლაუზ-რგვალდა.

— ლადი! — მიიძახა ასალომ. — ხომ არ დაიღალე, ბიჭა?

— აი კაცი უფროსია ჩვენი და შენ ბიჭს უძახი? — შეესიტუვა სარდიონი.

ასალომ სარდიონის ხუმრობა არ შეიიფერა და კუშტად უპასუხა:

— არც შენ გაწყვინს, ნუ გეშინია! ტქეენ ხელი ახლა შეიღლებოდა, კოცხალი რომ დარჩენილიყოთ...

ამ ღრისს ზევიდან სერგო ნიკურაბეჭმ ჩამოირჩინა და ლადის წერილი გაუწოდა

— დამტარებელს გამოვართვი. აქეთ მოედიოდი და ბარემ წავულებ-მეთქი. — უთხრა ლადის და მერმე სარდიონს მიუბრუნდა:

— სარდიონ, ფოფხაძემ შემოვითვალა ამ წუთში აქ გაჩდიო, ძალზე საჩქარო საქმე მაქვსო.

სარდიონში შებლი შეიკრა და ცივად ჩილაპარავა:

— რა უნდა ახლა ჩემთან! თუ საქმე აქვს, იყალროს და თვითონ მოგრძნდეს!

— წადი, სარდიონ, იქნება რაიმე საჩქარო დავალება უნდა მოგცეს. — ურჩია ასალომ.

— ვიცი, რა დავალებაც ექნება ახლა იმას! მარა არაფერია. ვნახავ ერთი, აეწვა თუ არა კუდი!

— რაზე ამზობ, სარდიონ, მაგას? — შეეკითხა ასალო.

— რაიზო? მოიცადე ცოტა და მალე გაიგებ! — უპასუხა წილოსანშია და ბარმაქსიზისაკენ გასწია.

ლადიმ წერილი გახსნა და ასალო მყისვე მიხედა თუ ვინ ესაუბრებოდა ახლა ლადის.

„...შენ რომ გნახე, იმავე სალამოს მინდოდა მომეწერა ეს წერილი, მაგრამ ვერ მოვახერხე. იმიტომ კი არა, რომ დალლილი ვიყავი, არა, ნამეტარი გახარებული ვიყავი და აზრი ვერ მოვიკრიბე. ამხანაგებისა-

თვის იძულებით დაშეების ამბავი მისცლისთანავე არ გამოიხელოს. წახუ-
ვარი საათი გადავატოლე დანი მწულ დროს და ამას არავისშე-ცველები არ
გამოიწვევია. მხოლოდ გუშინწინ კუთხარი უფროსს და უფრო წრფორ
დამტექსა. ვინ დაგავალა მანგლისს იქით ფრენა... რა უნდა მეთქვა? იმით
ხომ ვერ კიმართლებდი თავს, იქით სადღაც ხრამქეისა, ხრამქესში
კიდევ ერთ ჩემი კარგი ამხანაგი მუშაობს და იმ მიღამოების დათვალიე-
რება მინდობა-მეთქვი? არა, შართლა, მე სრულებითაც არ მქონდა გან-
ზრიახული წალკისაკენ გადმოფრენა, ან შენ სად უნდა მენახე, მოულო-
დნელად მოქედი ნისლში და იძულებული ვიყავი გამოსავალი მექებ-
ნა... ახლა სამაყით ვიგონებ იმ წუთებს და მჯერა, რომ ნამდევილი
პილოტი ვარ. ეს იყო ჩემი პირველი ნათლობა სიძნელესა და ხიფათ-
თან ბრძოლაში. აეროდრომის ირგვლივ ფრენა ადვილია. საქმე ის არის.
არც გრიგალმა შევაშინოს, არც ნისლმა და არც ქარიშხალმა. ჩეკინ, პი-
ლოტები სანამ ჩვენს ქვეყანას იმპერიალისტები ომით ემუქრებიან,
სამხედრო პირებიც ვართ. როცა საქოროება მოითხოვს, უშიშრად უნ-
და აეიჭრათ სიტრცეში და მტერს გამანადგურებელი ცეცხლით შევეგე-
ბოთ ... დაიცა, ლადი, ახლა მომეჩენა, თითქო შენ ვანხე მიიხედე და
ირონიულად ვილიმე. უკაცრავად! ვითომ რათ, ქალი რომ ვარ, იმი-
ტომ შელავათს მოვითხოვ ვვონია? არასოდეს! შერქვეს ნათელა, თუ
რამეში ჩამოგრჩეს! ისეთი კაცი მე არც შემიუკარდება, ეინც ამ მხრივ
ექვს შეიტანს ჩემში და მაღლიდან დამიწყებს ცეკრის... არა, ძალიან ნუ
კი გამედიდურდები, იქაოდა, ნათელას მოვენატრე და პირველი შეხე-
დვისთანავე გადამხევიათ... ამ, ლადი, რომ იციდე, ახლაც როგორ მე-
ნატრები! ი, შენი სურათი მაქეს აქ და... მავრამ არა, არ მოვწერ! ან
კი როგორ უნდა გავაგებინო? მთელი ქვეყნის ოდენაა ეს გრძნობა, ეს
ენით გამოუთქმელი სიყვარული... ასე მცონია, თეოთმფრინავიდინ გადა-
ცყვერებ დედამიწას და შენს მეტი ყველაფერი დაპატარიავებულია... შენ
კი ასე შორს ხარ! გვირაბიდან აღარ გამოდიხარ. არა, ლადი, მე სულ
სხვა მინდა მოვწერო და ვერ მომიხერხებია. ეს წერილიც იმიტომ და-
მიგვიანდა. იქნება იმათდ ვიჩემებ სიმამაცეს და ქალური სისუსტის ბრა-
ლია ეს. შენც ხომ იცი ახლა, რისი თქმაც მსურს. აღბათ, იმ შენმა მე-
გობარმა ასალომ გიამბო ყველაფერი და, ეინ იცის, შენ რა არ წარმო-
იდგინდ. თვალშინ მიღვას, როგორ შეკმუხნი შენ ახლა წარმებსა და გა-
იბურები. მოითმინე, ყური დამიგდე. ქავთარაძეს შენც ხომ კარგად იცნობ!
რა მაქეს მე მისთან საერთო? მხოლოდ ის, რომ ძველი ამხანავია, კომ-
კავშირში ერთად ვიზრდებოდით. ისიც იცი, რომ მე მისი ხასიათი არ
მომწინს. აქ რომ ჩამოვიდა, მომნახა და... ვერ ვიტყვი, რომ მისი ვან-
ზრიახეა შეუმნეველი დამზინოდეს, მაგრამ მე ეს არაფრად ჩავიდე...
ეინ იცის, იქნება ესეც ქალური სისუსტის ბრალი იყოს. თუმცა არა.
ლადი! არას უს არ დაიჯერო. რომ ნათელომ შენ ოდესმე სხვაში გავ-

ცვალოს... ამ ზაფხულს რამდენიმეჯერ ვიყავით ბაღში ერთად-და, შალიკოს თავი ყოველთვის ზრდილობიანად ეჭირა. იმ საღამოსაკეთ ჟენი მეგობარი წერილს გადმომცემდა, შალიკომ მისებურად მოითაფლა ენა და მცონია მოხვევასაც კი აპირებდა, რომ ამ დროს ის კატი თითქო მიწიდან ამოძრა და ჟენი წერილი გამომიწოდა, თანცე დასძინა: „უკაცრავად, მცონია თქვენ ლალი ალანის უნდა იქნობდეთ“. საშინლად შევკრთი და დავიბენი. მეც არ ვიცი, რატომ. მომეჩვენა, თითქო ჟენი წინაშე რაღაც დანაშაული ჩაფიქინე. განა მე კი არ ვერავდი ხელს შალიკოს? მაგრამ იმ კას, ასალოს, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ისეთი კეთილი და ამავე დროს მოსაყველურე თვალები, რომ აღარ მახსოვს სახლში როგორ მიერჩინე... ამა, ეს არის რაც უნდა მეთქვა და ასე მცონია უმიმდესი ტვირთი მოეჩინენი. ჟენ კი, ვინ იცის, რა არ წარმოიდგინე. გრი ხარ, გულფიტი და იმიტომ! გახსენი ახლა შეტბლი და წევრგდეთ! იმ ჟენს მეგობარს ვადაეცი — ჟენ ჯერ ნათელის არ იცნობ-თქვა, არც ის ჟენი გაუჩითხილება სქირდება-თქვა... ლადო, ძვირფისო. კერ წარმოიდგინ როგორ მოუთმენლად გელოდები. დღეებს ვითვლი და მიკერძოს, ამდენხანს როგორ გავსძელი უშენოდ. არ დაიგვიანო იცოდე...“

სულმოუთქმელად წიიკითხა ლადიმ ეს ბარათი და ფარდულისაკენ რომ მიიხედა, გურგენის ლიმჩამდგარი თვალები შეუფეთა. თვითონაც ლიმილი მოყრია, ადგა და ასალოს წერილი გაუწოდა,

იმასც შეურიგდა ასალო და სწორედ ისე მოიქცა, ერთხელ დედამ რომ დატუქსა, სახლიდან გაიქცა, რეინის გზის პირიდ, ხიდთან განმარტოვდა, ერთხანს ფერადი კუნტები აგროვა, მერმე კი იასამინისფერ ლრუბლებს აადევნა თვალი და ლამაზი კაშკები აავო... ის ახლაც საიდმყოფს ფანჯრიდან გაპურუებს სიკრცეს ასალო და ეს ლრუბლებიც. ბეჭედაშენის გორების გასწრრივ გაღმიფენილი, იმავე ფერისაა, თითქო ამ ქეყნად მას შემდეგ არაფერიც არ შეცვლილიყოს. მხოლოდ ასალოს არა სკალია ახლა ბაგშეური ოცნებისათვის, დღეს დილიდანვე სწყურია გაიღოს, დაამთავრეს თუ არა ბიჭებმა გვირაბი და... ლადა როდის აპირებს შეებულების აღებას?

აქ წყდება მისი ფიქრი და კელაც ლრუბლებს უბრუნდება, ახლა უკვე მოკადება ტბასაკით გაშელილს.

და ეს უკვე თითქო სინამდვილეა: ხრამქესის კაშხალიდან მოყოლებული ამ საავადმყოფომც ბროლივით გამსჭვირვალე ტბის ჭავლება ლიკივებს და აქა-იქ მოტორიანი ნაეგბი მიმოსრიიალებენ. მხსელისნები თა შორის ასალო ყელაზე მეტად ერთმა ჩწყვილმა დააინტერესა და ეს ხმი ნათელად და ლადი...

ლრუბლებისაკენ მიკურობილი თვალები გაუშერდა ასალოს და, ახლა თავისი გულის ხმაც აღარ ესმის, ნათელად და ლადის საუბარი, მოკერა თითქო ყური:

— გახსოვს, ლადი, როგორ დავიძენი, იმ შენმა მეგობარმა ასალომ
რომ წერილი გადმომცა?

— მე კი დამიმალუ, შენ რომ შალიკოს ეჭუკეუკებოდი...

— ნუ გააწყალე გული! შენი და იმ შენი ასალოს მოგონილია ეს ჭუკ-
ჭუკი.

— შენ თვითონ არ მომწერე?
— ნავი, რომელშიაც ლადი და ნათელა ისხდნენ, ტბასავით გადასარკულ
ღრუბელში გაუჩინარდა და ასალოს მომვლელი ქალის ხმა ჩაწვდა ყურ-
ში. მწვავე ტკიფილშა თითქო ტვინი გაუბზარა, ტუჩის ქბილი დაასხო და
თვალები დახუჭა. შელონებული გულის ძეგრაც მიიღია, ვიდრე ტკიფი-
ლი ოდნავ შეუნელდებოდა, მერმე კი ისეთ უკუნეთში დაეშვა, საიდა-
ნაც შის შესავებებლად ამღერებული არწივი თუ ამოფრინდება. ასა-
ლოს კი სადღა აქვს ხელი ის ფრთხები, სიქაბუკის გაჩივრაზე რომ გამო-
ესხა და შორეულ მომავალს თვალი გაუსწორა. მარტოოდენ საკუთარი გუ-
ლის რითმდარღვეული ფეთქა ესმის და ეს უმწერ ხმაც იმას ეუბნება,
რომ სადღაც გასწუდა სიცოცხლის ძარღვი და მუხთალი სიკედილის
უფერულ თვალებში არც სინათლეა და არც წყვდიადი, ვინაიდან არა-
რაობას არიგითარი ულფერი არ გააჩნია... ვინ იცის, შესაძლოა, ის
როცელი და მძიმე გზაც, რომელიც ასალომ გურიიდან ამ საევადმყოფო-
მდის გამოიარა, მხოლოდ მოჩვენება იყო, რაჯი ამ უზარმაზარ სიცარი-
ელეში სავსებით ჰქონება და მისგან აღარაფერი რჩება...

გაივლო ეს გუნებაში ასალომ და უსასოდ ამოიკვნესა, კვლავ შწვა-
ვე ტკიფილმა გაუბზარა ტვინი.

მომვლელმა შებბლზე ხელი დაადო და ოდნავი შეება იგრძნო, თვა-
ლები გაახილა, მაგრამ მისი ამღერეული მხედველობა ღრუბლებამდის
მაინც ვერ მისწვდა. ამიტომ ვერც ტბას მიაგნო და ვერც იმ ნავს, რო-
მელშიაც ნათელა და ლადი ისხდნენ...

მთელი ღმერ არ მოუსვენია, მცირე სინო ჩისოელებდა, თავის ტკი-
ფილი შეაკრთობდა და, შინაგანი ხმის იდუმალი ელერა რომ მძაფრიად
შემოენთებოდა, ეს თითქო უსახო არარაობა დაბორიალობდა იჩვლივ.

შის ამოსვლისას ჩისძინებოდა. გამოეღვიძა და პირველიდ მომვლე-
ლის ცნობაც კი გაუქირდა. ხოლო როდესაც მოულოდნელად კართან
მომღვარ ლადის მოჰყრა თვალი, წამსვე გამოფხილდა და ულვაშებში
გაეღიმა.

ორიოდე დღის წინათ ფრიად უნდებოდა ასალოს ასეთი ლიმილი,
ურთობ მიმზიდველი იქრით ქმოსავდა, ხელა კი ჩაეცაილ ლოუებზე თო-
ვლიდებით თეთრი წვერი წამოზრდოდა, სქელი წარბებიც დამძიმებოდა და
დიდროონ თვალებში ჩამდგარი სევდა ჰაფრავდა ლიმილს.

ლადის დავითი, ნიკო და ვისოც შეუვნენ და ტახტან ჩამოსხდენ.
წრნასწარ გაურთხილებულნი იყვნენ — ავადმყოფს დიდხანს ნუ ალაპა-

რაკებთო და თავს უხერხულად გრძნობდენ. მაგრამ როგორც კი გვირაბის დამთავრება გაიგო ასალომ, მყისვე გამოცოცხლდა და ისეთი შინარტული საუბარი გაიმართა, როგორიც ზამთარში ერთ რომელი ყოფნის დროს იკოდნენ ხოლმე.

ლადი თვალს არ აშორებდა ასალოს. გუშინწინ აქ რომ დასტოკა, რამდენჯერ გადერა ეჭვმა — ვაი თუ სასიკვდილოდ არისო დაშავებული. მეტისმეტად შეეთვისა მა ათას ვირვარამში გამოვლილ კაცს. — ესეც რომ არ იყოს, ასალომ ხომ ლადის გადასარჩენად გაიმეტა თავი... საზეიმო საღამო რომ დამთავრდა და ბინაში დაბრუნდა, მკვდარიციის ჩაეძინა ლადის. გამოვლენა დილით და, ოთახში ასალო რომ ვერ დაინახა, შეშეუოთდა, ამხანავებს გამოუარა და ასალოს სანახავად გამოეშერა. შოაღვა კარს და მოეჩენა, თოთქო ცხედარიციონ ციცი იყო ასალოს სახე. ახლა კი ჩვეულებრივად იცინის და უთუოდ მალე ფეხზე დადგება. დასკვნა ეს და ისე ეამა ლადის, რომ საუბარი ამხანავებს დაუთმო, ვინაიდან ეს დუმილი უფრო მრავალმეტყველი იყო თითქო.

— გახსოვს, ბიძია ასალო, — მისებური ხემჩინის კილოთი ამბობდა ვასო, — შენ რომ ზამთარში ნოდარის თავეადასავალი გვიამბე? ახლა როგორ გრძნობს თავს ის ყმაწვილი? კიდევ ხომ არ აყენებენ შეურაცყოფას?

— დიდი გზა გამოიარა, ვასო, იმ ბიჭმა, — უპასუხა ასალომ. — მაგრამ მაინც ისე მოუვიდა, როგორც იტყვეიან ხოლმე: „ურემი რომ წაიქცევა გზა მერე გამოჩენდებაო...“ ბერი ორმოსათვის შეეძლო თურმე აევლო გვერდი, ან პირდაპირ გადამხტარიყო. მაშინ ასე არ გატყდებოდა. ახლა კი, ხომ ხედავ, რას დაევამგავასე...

დაიით ტეილდინმა საყველურით გადაპერა თვალი ვასოს და ასალოს შეესიტყვა:

— რა საჭიროა ახლა ეგ, შე კაცო! ჩეენ მთავარი დაგვავიწყდა: სხვა მოწინავეებთან ერთად შენკ დაგაჯილოვეს წუხელის. შენი სახელი რომ ზაერიშეიმა ამოიკთხა, ტაშის გრიალი დიდხანს არ შეწყვეტილა...

გული აუჩქროლდა ასალოს, ოდნავ წამოიწია, ხერხემალში მწვავე ტკივილი იყრნდო და ბაგეს კნილი დააჭირა, რომ უნებლიერ კენესა არ აღმოხდენოდა. მერმე ლადის მიაპყრო დანისნული თვალები და ჩავარი დნილი ხმით შეეკითხა:

— შენ როდის მიღიხარ, ლადი?

— ამ დღეებში ვაპირებ, მაგრამ შენ როგორ დაგტოვებ აქ! თუ საჭირო შეიქნა, ტფილისის საავადმყოფოში გადავიყენ...

პირველი ორი სიტყვა გააჩინია მხოლოდ ასალომ, დანარჩენი ლადის ხმაში ჩაექსოვა; და ეს ხმა ხომ მუდამ აგონებდა საოცრად ნაცნობი ღიმილით ანთებულ თვალებს... პო-და, მიღის ახლა ლადი. ასალოს სიცოცხლის ძარღვი კი საღლაც გაწყდა და ახლა აქედან გისვლაზე ფიქრი

ისეთ შეოცნებებიაც არ შეუძლია, როგორიც ასალო იყო ოდესისაც. მიწის
ლადი და წყდება ტკბილი მოვონების ძაფი, ჰქონება ელექტრი და თამა-
რის იქრი, ნათელის სახეზე შესხივებულია...

გულშეოლნებულიერი დახუჭა თვალი ასალომ და მოეჩივენა, თითქო
შინაგანი ხმის ერთალში დაინტერ მთელი ქვეყნისერება... მაგრამ ა, ამ
სიცალიირეშიაც აენთო მცირე რამ სხივი, ელვასაცით ასრიალდა, იფე-
თქა და... ეს ხომ ნათელა! ისეთივე ლიმილი შვენის, როგორიც ლადის
ჩემოდანში შენახულ პორტრეტი... რამდენჯერ უსაყველურა თავისთავეს —
წყალწალებულიერი ხევსს ნუ ეკიდებით, უკანასკნელად ტფილისში
ყოფნის დროსაც ხომ თითქმის საბოლოოდ დარჩიმუნდა, რომ საავად-
მყოფოში უპატრონოდ დალუბულ ბავშვება და ნათელის შორის არაფერი
საერთო არაა, მაგრამ ახლა, როდესაც ლადი შორცებოდა, ისეთი გრძნო-
ბა აღიძრა, თითქო საბედისწერო უფსერულის პირად დგას და მოელის...
სავმათა ნათელის ხმა გაივინოს, მყისე გაუმოւელდება სიჭაბუკის უამ-
გამოსხმული ფრთხები და დაბრუნდება იმ დიდ საქალანობრივ ქვეყანაში, რომელიც რიგერავიდან რიგერავს შექხარის...

— რამ ჩავათვიქჩა, ბიძია ასალო? ხომ გითხარი, უშეროდ არ წავალ-
მეთქი. — დაარღვია სიჩუმე ლადიმ.

ასალომ მძიმედ ასწია წარბები და ლადის ხანგრძლივად დააციქურდა.
მერჩე ნალელიანი ხმით წარმოსთქმა თავისთვის:

— რა საჭიროა, მევდარი რომ ცოცხალს აეკიდოს... შენ, ჩემთ ლა-
დი, შენი გზა გაქვს, დოდი, ნათელი გზა...

მცირე ხანს სცემდა, შემდეგ კი ისეთი მოკრძალებით მოავლო ყვი-
ლის თვალი, თითქო რისილაც სცენენიათ.

— ერთი ახირებული სათხოვარი მაინც მაქვს და ნუ გაგიკირდე-
ბათ... ლადი, მოდი გაუგზავნე ნათელის დეპეშა!.. ამოეიდეს ერთა
დღით... მერე ერთად გაგამგზავრებთ...

ყველის ეუცხოვა ასალოს ეს უცნაური სურვილი, მაგრამ მის ხმაში
მომაკედავის უკანასკნელი ნატერა გამოსჭივილდა და ნიკომ უნებლიერ
წამოიძახა:

— რა საჭიროა დეპეშა! მე მივეღიარ დღეს, წავილებ ლადის წერილს
და ნათელა ხეალ შუალდეზე აქ იქნება.

— ჰო, ასე აჯობებს! — დაასკვნა დავითმა და ასალოს შუბლზე ხე-
ლი გადაუსვა; ქვედა ბაგე ოდნავ შეუთრთოლდა, რითაც თავისი მო-
კრძებული გრძნობიერება გამოამედავნა...



ლადი ხრამვესის სამუშაოთა სამშართველოს აივანზე იდგა და წამის-
წამ მაჯის საათს დაპყურებდა. სალარის სარქმელთან შეჯდულულ მუ-
შების ხმაური თითქო არც კი ესმოდა, არც იმისათვის მიუქცევია ურა-

დღება, ქვედა სართულის ბოძზე ჯაპეით მიბმულმა გააეყმულმა მაღლმა რომ ცილაცას სისტემად შეუტია.

იროვნული

უკვე სამი საათი შესრულდა და, აეტობუსი კი არა სიამისა არა სამართლის არ შეუპყრია ლადი ისეთ მღლელვარებას. დღეზე დილით გაიფიქრა, ნათელას მანგლისში შეეცემებით, მაგრამ შეებულების აღების წინ თავის უბანში გადაუდებელი საქმე პქნდა მოსაწესრიგებელი და დროს დაკარგვა დაეწინა. ამას კი უსაზომოდ დაუმიმიმდა ლოდინის მწვავე წუთუბი, სეეტს მიცემდნო და მდინარის გაღმა, ფერდობზე დაკლაკნილ გზას დაასრულო... ვინ იცის, იქნება ნიკომ ვერ იპოვნა ნათელა, წერილი სხვას დაუტოვა და...

სწორედ იმ დროს შეკრთა ლადი, სახეზე თითქო ამომავალი მზის სხივი მოეტინა; თვალი ირგვლივ მიმოატარა, მაგრამ არც ეკლესის მაღლალი გუმბათი შეუმჩნევია, არც სკოლის სახურავზე დაყუდებული ყანჩა, მარტონდენ ავტობუსს ხელავდა, გაღმა, ფერდობზე რომ მოწყვეტით დაეშვა...

ძირს ჩაირბინა და ყორესთან გაჩერდა. მანქანა გუგუნით შეიჭრა სოფელში და ლადიმ აღვილი მოინცეცლა, გზა ჩქარი ნამიჯით გადაჭრა.

ავტობუსი გადახურული იყო, კარიც ვაწრო პქნდა, მაგრამ ნათელა რომ გაღმოჩერა, ლადის გული, სიყვარულითა და სიხარულით აღსავსე გული მოელ ქვეყანას იწონიდა.

ისევ ის შევერებანი ვოგონაა ნათელა და თანაც იმ ახალი იერით დამშევნებულა, რომელიც ზრდადამთავრებული ქალის ყველაზე უღა-მაზესი სამყარულია. სამგზავროდ ფოთლებიანი ჩითის კაბა ჩაუცამს. გრძელი, წელზე შამოვარსული, და ეს ოდნავ მომალლოდ აჩენს ტანა-ლა და გულმკერდ საიდეს. ლადის რომ ხელი გაუწიოდა, ღაწვები წამო-ეზნო, ბუდეშეური თვალები შეესხიოსნდა და მოლად ისეთი ბრწყინ-ვალებით შეიმოსა, ვით გაზაფხულის მზიანი დილა, ან არადა, ვით ახ-ლად აყვავებული ნერგი, უუცუნა წევით პირდაბანილი.

ლადიმ ტყავის პალტო გამოაჩითა ნათელას, მკლავი გამოსდო და, სასტუმროსაკენ რომ მისაუბრობდნენ, რამდენიმეერთ შეველო თვალი შეინდისუერ ბერეტზე მიურულ პილოტის ნიშანს, მეტყალივით ფრთა-გაშლილს. ნათელას მკლავიდან გაღმოსული ნაკადი ჰქონდება ახალ ლა-დის გულში, მაგრამ ეს ნიშანი ერთობ ამამალლებელ დამოუკიდებლობის ანიჭებს ამ ცის იერში მონავარდე ქალიშეილს; მაინც არ შეშერს ეს ლადის, ვინაიდან ერთ არსებად იქცნენ ისინი და ერთად აღიან სიმა-ლლიდან სიმალლემდის.

სასტუმროში ლადის დედის — ძაძეს მეგობარმა დიასახლისმა სა-თვალე გაისწორა და ნათელას ახელ-დახედა, კეთილი ლომილი მოერია, გულომისანივით იაზრა ყოველივე, ნათელას მიაშურა და დედასავით

მოქმედია. მერმე ლადის მშობლიურად დაემუქრა, თითო დაუქნია და, ნათელა თავის თთაში მიიპატება.

დადი აღარ დაყოვნებიათ, ლადიმ ეტლი მოაყვანინა უდა ჰუნიავალა-საკენ გასწიეს.

უკვი მისწერა ლადიმ ნათელას და ახლაც უამბო მოქლედ, თუ როგორ დაშავდა ასალო.

— ძალშე დაღლილი ვიყავი და ჩამეტინა... ასალო რომ არ მომშევ-ლებოდა, ვინ იცის, რა მომიერდოდა... ვერ წარმოიდგენ, ნათელა, როგორ დამწყდება გული, იმ კაცს რომ რომე დაემართოს...

ეუბნებოდა ლადი და ნათელას ხელს ისე ეალერსებოდა, თითქო პა-წია ფრინველი უზის ხელის-გულშე და ფრთხებს უსწორებს.

შეოლოდ ერთხელ ნახა ნათელიმ ასალო, ისიც ისეთ პირობებში, როდესაც საშინლად შეშეფოთებული იყო, და მისი სახე კარგად არ და-მახსოვრებია. ის კი არა, მაშინ კიდევაც ვადასწევიტა, ამიერიდან მას-თან შეხვედრას მოეკრიდებიო. ახლა კი ლადის წრიფელ ხმაში ამოტივ-ტივდა თითქო იმ ჭალაზე კაცის ფართო სახე და სასურაელ მეგობარი-ვთ გაუღიმა. ამიტომ საქაებით ბუნებრივად მიაჩნია ახლა, ასალომ რომ მისი ჩამოსურვა მოისურვა. ის კი არ იცის ნათელამ, თუ ლეიძლი მამის სანახეად მიდის...

გასტურდნენ სტანდარტულ სახლებს, გორაზე აივაკეს და ლადიმ რო-ზენბერგისაკენ გაიშეირა ხელი:

— ის იმ ზოლს, იმ მაღალ კოშეებს ხომ ხედავ? ეს ხრამების მთა-ვარი გვირაბის მიმართულებაა!... აგრე მარტენივ, თეთრქვებიანი გორის გა-ნაპირას ერთადერთი მუხაა, იქაა ტაშბაში... დააკვირდი, იმ მუხის გასწერივ კლდეზე წამოლგმულ ძეელ ყალესის... იმ კლდეში გავიყვანეთ ჩვენ დამ-შმარე სადგურის გვირაბი...

ნათელა ხაჩაბად ათვალიერებდა ამ უცხო მიღამოს, მთაგრეხილებით შემოზღუდულს, ნაირნაირ გორებს, ფერდოებს, ველებსა და ხრამებს და იმ გამოსუთქმელი სიამაყით იმსკეალებოდა, რომელიც ლადის სიტყვე-ბში გამოსტეოდა.

ხრალო როდესაც დაბლობისაკენ ჩაუხვიეს და ლადიმ მეტად ვრცელი ტაფობი საჩერენებელი თითოთ შემოხაზა, ნათელას უკვე დამთავრებული ჰიდროელასადგური წარმოესახა და ბროლივით მოკამამე ტბაა...

და როგორ მიმზიდველად გამოიყურება ეს განახლებული მხარე, მა-თი შემოქმედი შრომის ნაყოფი!



იმ ლამეს ასალოს რამდენიმეჯერ მოეჩენა, თითქო ბეწვის ხილშე გადიოდა და კუპრივით შავ სილრმეს თვალს არიდებდა. არ უზარმაზარ კუნძულს შორის იყო თითქო მომწყვდებული: ერთი ის იყო, საღაც თავი-

სი დაუდევარი და მეამბოხე სიჭაბუკე გაატარა, სადაც მრავალი თანამებრძოლი დასტოვა, — ელენე და თამარიც ხომ იქ დაიმარჩა... ხოლო მეორე — მოელი ეს ახალი ცხოვრება, მარადის უჭირნობულეყვავილმარტივოთ წარმტაცი, — ნათელა და ლალიც აქ არიან, დაუსრულებელ პორიზონტს, გაჟყურებენ...

მცირე ხნით ჩისთველემდა და მწვავე “ტკივილი გამოაღვიძებდა, მაშინ კვლავ რითმდარელეული გულის ძეგრის დაუგდებდა უურს და თითქო თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ წყდებოდა მისი სიცოცხლის ძაღლვი...

რიცრადი მოახლოვებული იყო, როდესაც ხანგრძლივად ჩაეჭინა და... ეს ზმინება კი არ არის, ხორცესხმული სინამდეილეა: დაუფიტყარი ლიმილით შეაღო კარი ელენემ და მას მეორე ელენეც შემოჰყავა, თითქო უჩინარი სარეკა მათ ზორის აღმართული და ელენეს ორეულიც ამ სარკიდან იმშირება. მხოლოდ ერთი ასმ ანსავეებს მათ: ელენეს გრძელი ნაწნავები აქვს, მის ოჩეულს კი — მოკლე კულულები... შებლზე მოუსია ელენემ ასალოს ხელი და უსაზომოდ ეამა ასალოს, ელენეს ხმა რომ სრულებით არ შეცვლილა:

— ვერ იცანი, შე საწყალო, ჩვენი თამარი? ჩვენი ობოლი ციცა-ია ეს...

გამოეღვიძა ასალოს და სააფაღმყოფოში დილის მზის სხივი თინათხონობდა. ექიმმა ინახულა, მაგრამ ასალომ მის სახეზე სანუგეშო ვერაფერი ამოიყითხა. მაინც ფრიად მხნედ გრძნობდა თავს, ტკივილები აღარ აწუხებდა და სანეტარო მოლოდინით იყო შეპყრობილი.

დალაქი დაიბარა და წვერი მოაპარსეინა.

თეთრი აბრეშუმის ძაფებივით უბრწყინავდა აღმა ავარცნილი უქლები თმა. ფერმქრთალ სახეს დიდრომი თეალების შუქი უმშვენებდა.

შოავონებულივით გაჟყურებდა ცის ნაკერს და ასოციაციები იწვევდნენ მოსაზღვრე ასოციაციებს... ის თითქო თვითმფრინავმა გადასერა მაღალი სიცრუე... ეს უთუოდ ნათელაა... ევების თამარი... სულ ერთია, გამარჯვებული აღამიანია... და მისთონაა ახლა ასალოც... ეს ფრთხები პრეველიდ ბარცხანაში რომ საიდუმლო კრებას დასწრო და მოქადა-ვის მგზნებარე სიტყვა მოისმინა, მაშინ გამოესხა... და მაღლილიან დაპუტრებს ახლა ასალო გამარჯვებულ იღამიანთა უკანასკნელ იქრიშს ვრიგვალივით მრისხანება და ცხოველმყოფელს... ყველანი აქ არიან — თამაზი, ლალი, ნათელა, ვასო, ნიკო და დავითი... ეს სარდიონ წილოსანია, ფიცხი და შეუპოვარი... კინ დათვლის ამ ლაშეანს, საკაცობრივო მისწრაფებით შეკეთებულს... „პესიმიზმი, მსოფლიო გოდება“ — ამოტცვტივდა რომელიდაც ასოციაცია და ასალოს ღიმილი მოერია. — ბალ-ლმაც კი იცის, რომ სიკედილი და მწუხარება ცუდია... არა, ძამია, შეა-

ას ეს ფრთხები შეისხი და მზესავით მოელვარე რკოლების ჯაპეს გამოყოლე თვალი... ხომ ხედავ, არსად არ წყდება იყი და უსაზღვროებაში გადაის... რა, შენი სახე გიჩდა, იქ დაინახო?.. რატომ გვონიფ, შენთან მეტად მოელი სამყაროც გაძტრება... სამყარო შემოშედებაა და თუ შემოშედი შრომით ვიცხოვრია, შენც მასთან ერთად იქნები... ჩენი ბარათაშვილი ხომ წაგიკითხავს, ძამია? პესიმისტებშა ისიც პესიმისტებს შორის ჩარიცხეს, მაგრამ ვანა საბრძოლველად არ გაუშინევებიხარ მის სიტყვებს: „ცუდათ ხომ მაინც არა ჩაივლის...“

დაობდა ასალო და ეს „ძამია“ მისი მეგობარიც იყო და მოწინააღდევებ. გულმხერვალედ აჩწმუნებდა: მარტოოდენ კუბოსა და მლილს კი არ უნდა ხედავდეთ, აღმაფრენა უნდა შეგვძლოს და შორისიდან შორის მკერეტელი ოცნებით გადაწედე ამომავალ საუკუნეებს... ნიკოლოზ კაბალჩიჩი ხომ გაგივონია, ძამია? კაბალჩიჩმა დაამზადა ის ყუმბარა, რომლითაც ალექსანდრე მეორე ააფეთქეს. ჰო-ლა შეიძყრეს ის, სიკედილით დასჯა გადაუწყვიტეს. მაინც არ შეძრეა და სიკედილის წინ მან პირდასჯა გადაუწყვიტეს. მაინც არ შეძრეა და სიკედილის წინ მან პირდასჯა გადაუწყვიტეს. საქალაქიანი საქალაქიანი გემის პროექტი.. უანდარმებმა მაგრად ჩაკერებს ის პროექტი, მაგრამ საქალაქიანო იდეა არასოდეს არ კედება, სხვა მეცნიერებმა განახორციელეს იყი დამოუკიდებლად. უანდარმებს კერძოსთ, ჩამოვახრჩეთ კაბალჩიჩი და მისი იდეაც დასამართლოო მაგრამ ხომ ხედავ, ძამია, როგორ მოსტუცვდნენ... რამდენიმე დღის შემდეგ სიკედილით დამსჯიან — ამბობს კაბალჩიჩი, — მაგრამ მე მაინც კსწერ იმ პროექტს და შწამს ჩემი იდეის გამარჯვებაო... ხომ გასმის. ძამია? აი, ეს არის დამიანი, რომელიც სპობს ჩაგვრელებს, კაცთა შორის ქმობას ამიარებს, იმორჩილებს ბუნების მრისხანე ძალებს და მერე კოსმიურ სიღრულოებებსაც ფარდას ხდის. ასეთი დამიანი მუდამ აღმაფრენით სულდგმულობს, მუდამ ფრთხებშესმულია... შენ კი...

და ასალოს თითქო გული მოუკიდა, ფრთხები გამალა და დედამიწის ჯავშანი გაარღვია... მარიხის რომელილაც თანამეზაერზე შეისუნება და ვარ-სკელავთა და მნათობთა სამყაროში მშობელი ქვეყნის ხილვა მოენატრია. ავერ ლქროს ბურთივით ელვარებს იყი, საესებით განწმენდილი ახალი, ბედნიერი კაცობრიობისათვის მებრძოლთა სისხლით. ამიტომაა სხვა მნათობებთან შედარებით რომ უფრო მეწამული ფერი გადაპერავს...

დიღხანს ისკენებდა ასალო მარიხის თანამეზაერზე და შეუქამდებრი თვალებით გაპყურებდა ვარსკელავების უდასაბამო სამყაროს, სადაც ფრთხებშესმულ ადამიონთათვის უკვი ჭია ხსნილი იყო....

ანაზღად შეკრთა, ტახტს იდაყვი დააყრდნო და წამოიწია, ჯერ პირველად შემოსულ ლადის შეაღლო თვალი და მერჩე ნათელას დააკერდა ხმის ამოლება კერ შესძლო და ტუჩები უმშეოდ შეარხია, დაშავებული შელავიც მოიშველია და ისე წამოიმართა, თითქო აღგომის ლამობსო. სახეზე სიკედილის ფერი გადაედო, ვინაიდან უცირად მოზღვავებული

ბედნიერების ზიღვა მის ძალონებს აღემატებოდა. უხმოდ გაივლო მხოლოდ გუნებაში: ნათელა... ეს ხომ ის არის, წუხელის ელექტრი რომ მოიყვანა და მისაყველურა — ჩეკი თამარაი რატომ ვერ იცანიო... ის პრის, ის! — უკანასკნელი ღიმილით დასძინა ასალომ და მოწყვეტით დაეშვა, ამ დიდ მოლოდინში დაძაბული სიცოცხლის ძარღვი გაუწყდა და ტვინში სისხლი ჩაეჭერა...

ნათელას თვალები ცრემლით აევსო, გაშეშებულ ლადის მიაყრდნო მხარზე თავი და ერთი დადუმებული გულის ნაცელად ორი აჩქროლებული გულის ფერქა შეერთდა.

(დასასრული).

გამოქვები — ტურქია. 1935-36 წ.



გენერალუ ნიდოზანი

დაზვია ახაბედი

მოთხოვბა

წევმანარევი ქარი დილიდანვე მძეინვარებს და თოველიანი მოების ნაპრალებში წივილით და შეუილით დასრულის. ფერდობებიდან მომსედარი ზვავები გრგვინეოთ მიექანებიან თვალუწყელენელ ხრამებისკენ და ხავს-მოდებული პიტილო კლდეების ჯურლმულებში იჩენებიან.

ნაღირისავან გათელილ ბილიკს ხევიდან ამოსული მგზავრები მისდევენ. ერთი მათგანი წინ მიღის. ზორბზოს შერებშე მოკლული ჯიხვი მოუგდია. ხევსურალ მძივებიან პერანგშე გაჭონილი ტყაპუტი აცეია. ჸედი ხელით მიაქვს. ქარი ნამქერს ახლის სახეში, მაგრამ მას, თითქოს ცხელაო, შუბლზე ოფლი ჩამოსდის, მძიმედ ხენეშის, ზანტად მიაბიჯებს.

— გზა არ ილევა, დათვია, ღამეც წამოგვეწია. ეს ქარიც ისე გაცოფდა, რომ ცას ჩამოგვანგრევს თავზე.

დათვია შედგა, თანამგზავრისაუკნ მიტრიალდა, ზევიდან დახედა.

— გზა ცოტა-ლა დაევრია, გვეარგი! — არაბულმა მარჯვენა ხელი მახლობელ მთისკენ გაიშეირა: — აა, იმ ცხირმონგრეულ მთის გადაღმაა შატილი, მაგრამ ამაღამ იქ ასელის ვერ მოვასწრებთ. ლამე დედა-მიწაზე უშეება. ნისლიც ჩამოწვა. ისე მძიმედ მოდის ეს ტიალი. რომ ქარიც ვერ ფანტავს, ლრუბლებიც თითქოს მიწაზე დაეშვნენო. არ მი-ყვირს, გვეარგი, ლრუბლელი. მახრიობს და მაბრაზებს. ასეთ ამინდში სული მეხუთება. ტყინი მეწერის. მინდა სათითოად ჩამოვეგლიჯო ციდან და ხრამში გადავწეო.

დათვამ მელავები გაშალა. ნამქერისავან შეთეთრებული მხრები შეიძერტყა. შეტრიალდა და არ მოუხედავს, ისე გაემართა აღმართისაუკნ.

— გიჩქარით, გვეარგი, როგორმე გამოქვაბულამდე მივალწიოთ. სულ ახლოა, აგურ იმ ფერდობის გვერდით. ლამეს იქ გაეთენებთ. თო-რემ ასეთ ვერან ლამეში ან ნაღირი წაგვახდენს, ან ქარი ვაღაგვჩეხავს ხრამში.

* * *

გომრეგი დილით ტფილისირდან გამოჰყეა მანქანას. შატილში უნდა ისულიყო სალამომდე. იქ კოლმეურნეობის „წითელი პარტიზანის“

ცხვარის ავალშეყოფობა გასჩენოდა და სასწრაფოდ გაიწევება, ფასამაურობა მანქანა გაუფუჭდა. იძულებული გახდა სხვა მანქანისამებრ მრეწველობა სა-ათნახევრის ლოდინის შემდეგ, შორის შოსეზე მტერის კორიანტელი ავაზდა და მალე მანქანის გუგუნიც მოისმი. მემანქანებ გაფუჭებული მანქანის დანახვაზე თითონვე შეაჩერა თავისი მანქანა, მაგრამ თავისუფალი აღვი-ლების უქმნლობის გამო მხოლოდ გომრე წაიყვანა.

გიორგი ყაზბეგში სალამის ჩავიდა, მისი დაგვიანების გამო გამყოლება დაეცადა და ოშაში გადასულიყო ნათესავებთან. გამოცდილმა ექი-მშა იცოდა, რომ დაგვიანება არ ივარგებდა. უამრავი ცხვარი საფრთხეში იყო, ამიტომ იძულებული გახდა ფეხით გასდგომოდა უცნობ ვზებს.

გიორგი მალე გასცილდა ყაზბეგის მიღდამოებს. ამინდი გაუარესდა. ქარი თანდათან ძლიერდებოდა, მაღალ მთის მწვერვალებზე დაათრევდა შავი ლრუბლის ნაჭრებს და ფერდობებიდან იტაცებდა ქვის ნამსხერე-ვებს. შეშინებული ფრინველები გამალებით მიეშერებოდნენ სადღაც და გულშემზარევი ჩხაეილით იყრუებდნენ სიერცეს.

გიორგი ბეჭითად მიიკვლევდა დახლართულ გზას, მაგრამ მალე აერია ვზა-კვალი. ხევში მოექმწყვდა და ვერც წინ გააგნო გზა და ვერც უჯან. შეწუხდა. უიარალო იყო, არ იცოდა, რა ექნა. გარშემო კლდეების კვარცხლბეკებზე შემდგარი ითასგვარად აჩონჩისილი ყინულის ზოდება მოჩენებას აეგოთ დასკურეროდნენ უოველმხრივ. ქარიც გულს უსერავდა. მწარე სისინით დაძრებოდა კლდეების ხვეულებში და სახეზე ნამქერს სცემდა.

დიდი ზანი იყანებალა უცნობ აღვილებში. დაიღალა. ისედ-გაწყვეტილი დაეშეა ქვაზე. წუთით მოსეენებას მიეკა. ხელები მუხლებზე შემოიკიბა და თვალები დახუჭა. მთელი დღის უქმელობისა და დაღლილობისაგან გონება დამძიმებოდა. ასე იჯდა დიდხანს. მეტე წამოდგა, სხეული მო-უდუნდა. განძრევა უჭირდა, ლონე მოიკიბა. იქვე ფერდობზე აირჩინა. ორივე მუჭით თოვლი აიღო, სახე დაისრისა. მკლავებზედაც მოისევა. გა-მოკოცხლდა. ახალი ძალა იგრძნო. მოელე წიფლის ჯონი მოიმარჯვა და ის იყო ფერდობს პჰყეა, რომ ქვევეით ხევიდან არაბინის ქახანი მოესმა. გიორგი შედგა. სწრაფად მიტრიალდა ხევისაკენ და არ შეუყოვნებია, სირბილით დაეშვა თავქვე. ფერდობი რომ ჩირბინა, შედგა, ხევში ორა ბილიკი ჩადიოდა. არ იცოდა. რომელს გაძყოლოდა. ხევისკენ გადაწო-ლილ კლდეს გადაეკიდა და ქვევეით გადაიხედა. ხევის მარცხნი კიდეზე მონადირე იდგა და ნაღავლს შიგნავდა. გიორგი სწრაფად მოშორდა კლდეს. სირბილით დაეშვა ხევისაკენ და როცა მონადირეს მიუახლოვდა, რიხიანად მიესალმა:

— გამარჯვება შენი, მთელო!

— გამარჯვებით გატაროს უფალმა, ბიჭაუ! — უპასუხა გაფუფურებულმა მონაცირებ და შიგნიას თავი დაანება. სისხლიანი ბეჭუთა ტუშუქელს კალთით შეიწინდა. — ეინა ხარ, ბიჭაუ, ამ მოებში ჩამ ჩამოგავლო?

გიორგიმ უამბო თავისი გასაჭირი და დახმარება სთხოვა. მონაცირებ გაელიმა, გიორგის სიმხნეებ და განზრახვა მოუწონა, ნანადირებები შეკრა, აითრია და ზურგზე მოიგდო. კარაბინი დამბაჩასავით ქამარში გაირცო.

— წავიდეთ, მეც შატილისაკენ მივდიგარ, იქაური ვარ, დაოცია არაბულს მეძახიან. „წითელი პარტიზანის“ თავმჯდომარე ჩეენს კოლექტივში იყო დილით. ღუშეთიდან ვუშინ ეჭმი ჩამოუყვანია და ცნგარს აღარა უჭირს რაო. ჩეენ მაინც კიჩქაროთ.

არაბულმა ჯოხი მოიმარჯვა, მთას გახედა, მერე თავი მარჯვინ; მიაბრუნა და ხევის გასწვრივ გაჭრილ ბილიქს შეავლო თვალი. პირველი გშით აირჩია წისცლა.

გიორგი გაძევა არაბულს. დათეია წინ მიაბიჯებდა, გიორგი შორიახლო მისდევდა. ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა. აკეირებდა მისი ახოვანება. არაბული მაღალი ტანის, განიერ მხარბეჭიანი იყო. დაძარლეულ ჯმუხ კისერზე ქონნარევი ოფლი ჩამოსდიოდა. მის ყოველ მოძრაობაში გოლიათერი ძლიერება ჩანდა. მისი ნაბიჯი მტყიცე და მოზომილი იყო. აუჩქარებლად მიღიოდა, ციცაბო კლდეებზე და ვიწრო ბილიქებზე თავისუფლად მიაბიჯებდა.

კარგა ხანს იარეს ხმამოულებლად. გიორგი ჩამორჩა. კელავ დალლილობა იგრძნო. გაუკირდა სიარული, ძლიერ მიათრევდა ფეხები. ხშირა-ხშირად ისევნებდა.

არაბულმა შეატყო, შედგა, ტეირთი შეისწორა, ოდნავ გაიღომა, ფართე კბილები გამოუჩნდა. დიდი, კუპრიეთ შევი თვალები აენთო.

— ქალაქის გზებს არა გაეს, არა, გვევრვი! აქ მტვრის ნაცელად ნამჭერი გცემს სახეში, აეტომობილის წიფილის ნაცელად ზვავების ზმუილი გესმის. ძნელია. გავიტირდება, მაგრამ მაინც ყოჩალად მოდიხარ.

გაამნევა არაბულმა თანამგზავრი. და მდევეაცივით ახეიხვნდა. გაიცინა გიორგიმაც.

* * *

შეღამებული იყო, როცა მგზავრებმა გამოქვაბულს მიაღწიეს. არაბულმა ტეირთი მოიხსნა. ირგვლივ მიმოიხედა. აღვილები მოსინჯეს. ტყაპუტი გაიხადა და გიორგის შემთახვია. კარაბინიც გადასცა.

— აი, ესეც გამოქვაბული, — მიუთითა არაბულმა გიორგის სიბნელეში ამართულ თოვლიან კლდეზე. — უნდა ვიჩქაროთ და მაღა დავბინავდეთ, ორპირი ქარი იწყება. შენ აქ დაიცულე, მე გამოქვაბულში შესავალს მოვნახავ.

არაბული ცროხილად დაიძრა გამოქვაბულისაკენ. სეპტემბერ-გვია-ვაფოფხდა. ოთხზე შემდგარი დათვივით მიჩინჩა კლიმა-ქაშჩექი გორგო-კვაბულს ირველიც შემოუარა. კარებს ვერ მიავნო. დაიღალა. სიც კლდეებზე ფორთხევით ხელფეხი დაუსისხლიანდა. წიმოდგა, ჯოხზე და-უყრდნო. ოდნავ შეისვენა. გახელებული ქარი გამეტებით უტევდა. სა-კმარისი იყო თვალი ფეხი დასცდენოდა, რომ წამსვე ხრამში გადაისწი-ხებოდა. შესვენების შემდეგ კვლავ შეუდგა არაბული შესავალის ძებნის. მალე მიავნო, იწნო ქვის ზოდი, რომლითაც შესავალი იყო დაბრული. ნაბიჯით უკან დაიხია და მთელი ძალა-ლონით დაიძერა. ვე-კი ზოდი ზორულა კლდიდან. სრიალით დაეშვა უფსერულისაკენ და მერე საღლაც შორს, სიღრმეში საშინელი რახებინი გაისმა.

არაბული უკან გამობრუნდა. გიორგისთან მიეიღა.

— შესავალს მიუაგენ, გოვარგი. ახლა ფიჩხებს მოვიტან და ცუცხ-ლი გვექნება.

დათვია სიმნელეში ვაქრა.

ქარი არ ცხრებოდა. მთებს გადამდა, ცის კიდურზე ხშირად იელვე-ბდა და მაშინ შორიდან ყრუდ ისმოდა ქუჩილის ხმაც.

არაბული მალე დაბრუნდა. ფიჩხები მოიტანა. მოკლე-მოკლედ და-ამტერია. ქამრით შეკრა და შეკრული კონა ზურგზე მოიკიდა. გამო-კვაბულში დიდი ვაივაგლახით შეძრა.

გიორგი სიმნელეში ვერაფურს ვერ ამინიჭდა. მოსუზული იჯდა და დათვის ხენეშა და მოძრაობა და ესმოდა.

მალე გამოქვაბულიდან ცუცხლის შექმა გამოანათა. არაბული გა-მოკლა. ჯერ ნანაღირეული შეიტანა და შემდევ გიორგი შეიკვენა.

დაბალ-ჭერიან გამოქვაბულის კედლებიდან წყლის წვეთები უონავ-და. ისედაც შეხეოული ჰაერი კუამით დამძიმებულიყო, შავ ნისლად მოსდებოდა იქაურიობას.

— ცუცხლის მოუჯექ, გოვარგი. მხოლოდ შორიდან, გათოშილი ხარ და ნელ-ნელა გათბი,— არაბულმა გიორგის ცუცხლის პირს ტყაპუქა დაუკო და თითონ სამწვადე ხორცის მომზადებას შეუდვა.

გიორგიმ ცუცხლის შეტით განათებულ გამოქვაბულს თვალი მოა-ლო. ხავს-მორებული კედლები პირქუშად გამოიცემორებოდნენ. საქარი-სებული სიჩუმე იყო ირველიც.

— ეშმაქმა თალისხერის! — წამოიძახა გიორგიმ შეშინებული ხმით და კედლეს მიაწყდა, — მოჩვენებაა თუ ნამდევილი აღამიანების ჩონჩხს ჭედავ?

— ნამდვილად ხედავ, გივარგი, — გამოეხმაურა თანამგზავრს არა-ბული. ის ჯიხეს ატყავებდა და ზურგშეტეული იჯდა გიორგისაკენ მას არც თვი აულია და არც შეუხედავს მისთვის. — დაჯექ, გივარგი,

ა. მოკრჩები და ჩონჩხის მშპავს გიამბობ. ქალაქელი ხარ, დაგაინტერესების.

გიორგი დღვილიდან არ განძრეულია. შეშინებული და გაკვირვებული შეპყურებდა იარაღასხმულ ადამიანის ჩონჩხს.

რაი შეატყო, არაბეჭლი. რომ გიორგი ვერ ისცენებდა, წამოლგა. ჩონჩხი ფიჩხებით აიღო. გამოქვაბულიდან ნახევრად გაძერა და ხრამშვიდიანება.

— დამშეიღდი, გივარგი, მოცი, არაყი დალი. მწვალიც მალე გვექნება. — დათვიამ ქამრიდან პატარა ტექშირა და მათარა მოიხსნა. ჯერ გიორგის დაუსხა არაყი და შემდეგ თეთონაც გადაპყრა. მალე ხორ. ციც მომზადდა. ნაცერ-ნაცერ დასჭრა, გათლილ ფიჩხე წამოაცა და ცეცხლს მიუფიცხა.

— ხუთი წლის წინად. — დაიწყო მან დინჯად. — მოხევეებში გადაედი. ჩეენებური ქალი გაათხოვეს არშაში. დიდი ლხინი გადაიხადეს. მოხევეები მეტად სტუმარმოყვარე ხალხია. ლხინმა სამ დღე-ღამეს გასტანა. უკან ვბრუნდებოდი. ნალეონევი ვიყავი. გზაზე დამხინებოდა. კარგა ხანი მექინებოდა. ალბათ, დათვის ლრუტენს რომ არ გამოველვიშებინე. მზე მოებს გადასულიყო. ქარი ისე ბურლამდდა, რომ ამინდი უკეცელად უნდა წაშედარიყო. წყაროზე ხელ-პირი დავიბანე და გზას გაუდექი. მზე თანდათან ჩაიძირა. ქარბუქმა და ლამექ სწორედ გამოქვაბულით მომისწრო. სიახლი შეუძლებელი გახდა. გადავწყვიტე ლამე აქ გამეოთნებონა. ხინჯლის ამარბ ვიყავი. ასეთ გამოქვაბულში ნაღირი ბუღლობს. ვორთხილობდი, მაგრამ ძილი ვიღო და ხიფასს არ გადაეყროდი. მაგრამ არც გარეთ შეიძლებოდა დარჩენა. ირავლივ სიბნელე იყო. ქარი მოებიდან იტაცებდა თოვლს. მოქარილდა ნამქერი და საშინელი სიმძაფრით მახლიდა ყოველი მხრიდან.

დიდის ვაივაგლახით შევფოგებით გამოქვაბულში. ტალკეს გავკარი. კუთხეში ხელი ბალანი და წერილი ფიჩხი ეყარა. ეტყობოდა. გამოქვაბულში რაღაც ბუღლობდა. მაგრამ ალბათ ზეავებს გზა შეუკრა და სადღაც დარჩენილიყო. ფიჩხი შევაგრივე და ცეცხლი ზედ გამოქვაბულის შემოსავალთან დავანთე. უჩეესო ღამე იყო. სიცუვე ძვლებში ატანდა. კოტა რომ გაეთბი. ჩიბუხი გავმართე. ამოლებული ხინჯალი ხელში მიჭირა და ყოველ წუთში ველოდი ნაღირის დაბრუნებას. ასეთ დაფილებში უფრო მეტად დათვი იცის. აქცერი ძროხის ოდენად. თუ დაგასწრო. წავითხენს. გადაშუალამდა. ფიჩხი შემომაჟლდა. კოტ-კოტას კუკეთებდი. მომწყინდა. ფიქრებში გავერთე. წამთვლემოდა. უცა უცნაურმა ხმამ გამომაღვიდა. შეეკრით. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძებ შიში.

დაჭრილ დათვს შევპმივარ ხელდახელ, მოქნეული მახვილისათვის გამისწორებია თეალი, მაგრამ შიში არ მიგრძენია. ხელები არ მომლუს. „მათობი“ № 9.

ნებია. დავიბენი. დამბლა დაცემულს დაცემსგავსე. ჩემ წინ იდგა აზა-
მიანის მსგავსი რაღაც: ნახევრად შიშველი, ქონდრის კაცევეტუაბალი-
მიმქრალი. მთელი სახე წვერით პქონდა დაფარული. ჯაგარუკვიფევა
ფშევილი, წვირიანი თმა მხრებზე ეყარა. თვალები არ უჩანდა
თვალების ნაცელად მწვანე შუქი გამოკრთოდა ჩირქიან შებლს ქვე-
მოთ. ულამდე შეიარაღებული იყო. მარჯვენა ხელით მაუზერი გამო-
ეშეირა ჩემსკენ, მარცხენა ხელში უანგმოდებული ბერდნა ეცირა, ჩონ-
ჩხივით იჩხეოდა, ხრიალებდა, ტუჩებს აცმაცუნებდა, ხარბად სუნთქავ-
და. ხმის ამოღებას ლამობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ხანგალი ხელიდან გამოივარდა. გამოშტერებული ვიჯექი. ერიქა შე-
მექრა. ოდნავადაც არ შეშშინებია ჩემსკენ გამოშვერილი იარალისა. მი-
სი თვალებიდან გამონაჯრთობმა მწვანე სინათლემ მომწყვიტა წელი,
დამიხშო გონება, მისმა დაშხარულმა სახემ შემიჩერა ვულის ცემა. სა-
შინელი სუნი სდიოდა. ისეთი სუნი დიდიხნის მკვდარს ასდის ხოლმე-
უკუდო იყო, ღეხშიშველი. გათოშილი სხეული უცახცახებდა. ტუჩები
უკრთოდა. თავი კუზიანივით მხრებში პქონდა ჩამჯდარი და წელში მო-
კუნტულიყო.

თვალებზე ზელი მოეისვი, ვიფიქრე, მოჩენება თუ მეთქი, მაგრამ
არა, მოჩენებას სუნი არ უდის, არ ხრიალებს და არ ჩაგცერის ცივი,
ქვის გამხერეტი თვალებით.

დიღხანს იდგა ისე. დაიღალა, ხრიალი შესწყვიტა, თითქოს სუთქეა
ზეექრაა: ცხვირის ნესტოები აღარ ებერებოდა. თვალებშიაც მწვანე სი-
ნათლე ჩაუქრა, მომარჯვებული მაუზერი მოწყვიტით დაუშვა. წუთით
გარინდდა, ქვასავით უძრავი გახდა, მერე ერთბაშად დაბარბაცდა, თავი
ვერ შეიმაგრა და მიწაშე დაეშვა. არ განვეძრებულეარ. ოლნავ მოშევა,
სიმშეიდე დამიბრუნდა და ჩამქრალ ჩიბუს მოვუკიდე.

თითქოს ისიც გამოერკვათ. ლონე მოიკრიბა. ამოიხრიანა და ისე
ამოიხრიალა, გეგონებოდა გულ-ლეიძლი ამოანთხიაო. ჩემსკენ ოდნაც
წამოიწია და ცივი ხრინწიანი ხმით ამოიკვნესა:

— დათვია არაბულო!

ტყვიანაცემივით შეეტორტმანდი. საკუთარი სახელის გაგონებამ ვა-
მაშტერა. ავამე ავსულს შეცეყარე მეთქი, — გამიელვა თავში. ის ისევი
ხრიალებდა. კვლავ აპირებდა ლაპარაკს. ახლა უფრო იოლად დასძლია
ხრიალს.

— ვერ მიცანი, არაბულო! — ამოიკნავლა მომაკვდინებელი ხმით
და ცეცხლისაკენ წამოჩინდა. ხელები წინ გამოიშვირა და იყანებულ-
ბულმა შემომახა:

— ცეცხლი! სითბო! — ხელები უმალვე მოაშორა ცეცხლს, გათო-
შილი თითები სითბომ აუწევა.

— სამი წელია, არაბულო, სითბო არ მიგრძენია. ციცხლი თუ შე-
ძახავს. შენ ისევ გაშტრებული მიკერი. გიყვიჩის, რომ რჩეას რაზეცემ,
ლაპარაკი არ დამკიტყებია. მიჭირს. მკერდიდან სიტყვა ვერ-ცხრისტი.
რაღაც მიშლის. მახრჩობს. ვადავეჩვიე ლაპარაკს. გაველურდი. ტყის
კაქს დავეშვავსე. ვერა მცნობ? რას მიცნობ! ბეკია ზევიადაურს კინდა
იცნობს ახლა. სამი წელია წყველა-კრულვით მისხვიებს მოქლი ხევ-
სურთ სოფლები, მაგრამ ბოლო მაინც არ მეღება. სული კი ტუბილი ყო-
ფილა, არაბულო! თავის მოკვლა გამიკირდა. სიკვდილი თავისით არ
მოდის. მე ჩემით ვერ მიკვლ მასთან.

ვათუებული ვეუყურებდი ბეკია ზევიადაურს, რომლის სახელი რამ-
დენიმე წლის წინათ შიშის ზარის მომგვრელი იყო. ზევიადაურის მხრე-
ბი ათებებდა მნახველს, მორჩიეთ ჯმუხი კისერი ჰქონდა. ტანად ჩა-
ფსკვნილი და ბრევ იყო. კუშტსა, და უხეშ სახეზე მრავალი ჭრილობა
აჩნდა. შავი მრისხანე თვალები ამოწედილი მახვილიერი უაღავდა სქელ
წარბებს ჟვევით.

ასეთი ადამიანის ნაცვლად ჩემ წინ იჯდა მოჩეკენების შეგაესი რა-
ღაც. დაჭრილი ადამიანიერი იმანვებოდა, რაღაც აწუხებდა, კელავ აკახ-
ცახდა, მარზერი ხელიდან გაუვარდა და განუწყვეტელი ხევლა თუტყდა.

მომავალდა სამი წლის წინად მომზღდარი ამბავი: ეს მოხდა მაშინ,
როცა ის შეძლებული ოჯახის პატრიონი იყო. ზევიადაური არ უყვარდათ
მთაში. ძუნწი იყო. დაუნდობელი და შეუპოვარი, ერთი ბატენისთვის
აჩეხდა ადამიანს. ერთი მუქა ფქვილისთვის დასცემდა ტყვიას თავის
მოკეთესაც კი. დიდი რიცი ჰქონდათ სოფულში. ყველა ცდილობდა თა-
ვი შორს დაევირა მისგან. ერთი შეილი ჰყავდა. თავს ევლებოდა. მის-
თვის არაფერს არ ზოგადდა. ქალაქში გაგზავნა სასწავლებლად. თხის-
ოდე წელმა განველო. ბეკია დღითი-ტლე ელოდა შვილის დაბრუნებას.
ზეილის მოლოდინში მოხეუს ხასიათი გამოეცვალა: ჩუმი და გულჩათ-
ხრისილი გახდა. დღეებს თავაუღებელ გარჯაში ატარებდა. გულის
ჯავას შრომაში კრიავდა. ერთხელ, მაისის ნისლიან დილის ელიბომ გა-
ქაცული ცხენი შემოავდო ზევიადაურის ეზოში. ქალაქში რევა- გულ-
ზე რაღაც ნიშანი ეკეთა და ჭრდშე წითელი გარსკვლავი კურა. არ მოე-
წონა მამას შეილის ჩატრელობა. წუთით გახარებული სახე მოელრუბ-
ლა. მოხეუი მიხედა, რომ შეილს არა მარტო ტანსაცმელი გამოეცვალა-
ავად შეიკრა შუბლი. ეზოში დააცდევინა. პერანგი და ჩოხა გამოუტანა.
შვილმა გაულიმა.

— ჩოხა ჩიცევი, ბალო! — უთხრა ბეკიამ დამშეიდებული ხმით
შვილს.

— მამა! — შესჩივლა ელიბომ თხოვნის კილოთი და დედისკენ ვაიწია.

— უკან დაიწი! — შესძიხა ზევიადაურმა და მთასავით ალმართა დე-
დასა და შეილს შორის.

მეზობლები ხმავაქმენდილი უცქეროდნენ. ელიბო არ აპიტებდა, კა-
ლაქური ტანისაცმელის გახდას. მამაც არ უთმობდა ელიბოს გორიათვა
ზეადაური აფთარს დაეშვევს. მცელივი კერი იყიდა.

ფურწასული დედა უმწეო სახით შეცყურებდა შეილს.

— ვაიხალე, ელიბო, დაუჯერე მამას! — შესთხოვა მან გამწირულია
ხმით შეილს.

— დედავაც, ხომ არ შეიშალე! — შესძიხა ბეციკამ ცოლს და გვერ-
დხე მოქცეული ხანჯალი წინ გადმოიღო. — ეს ბალლი პირველია ხე-
სურეთში, რომელიც მამის წინააღმდეგ მიღის.

ელიბომ გაიღიმა, ბეციკას შეილის ლიმილი დაცინებდ მოუჩეუნა, მი-
სი ამხედრებული სული კიდევ უფრო ამხედრდა.

— მამა, ამ ტანისაცმელის გახდა ჩემს განიარაღებას ნიშნავს. ეს კა-
იმდენად ძნელია, რომ ამაზე ფიქრიც არ შემიძლია.

ზეადაური ჩასცეროდა შეილს თვალებამღვრეული. უძრავად იდ-
გა, მავრამ მთელი სხეული უცახესხებდა. ელიბო კი კვლავ მოლომა-
რი სახით შესცეროდა აფთარიაქებულ მამას და ელიბო დროს, თუ რო-
დის ჩაეხვეოდა საყვარელ დედოს.

— ელიბო! — დაარღვია სიჩრმე ბეციკამ.

— რას იტყვო, მამაჩრმო. — უპასუხა ცივად ელიბომ.

— ბეციკა ზეადაური ვთხოვს შენ, ჩემო ბალლო, გესმის. მამა გვ-
ხვეწება, მამა, ზეადაური, რომლის პირიდან ბრძანებას ისმენდი ყო-
ველოვის, თი ამ მთელი ხალხის წინაშე გეხვეწება შენ მამაშენი, ხედა; ე-
ლიბო, როგორ ვაცემით მიცერიან შატილის მცხოვრებნი, მათ პირ-
ვალად ესმით, პირველად ხელავნ ბეციკა ზეადაურის ხევწნას...

ბეციკა გაჩრმდა, შეშინებული თვალები შეილს მიაშტერა და პასუ-
ხის მოლოდინში უძრავად იდგა.

— ელიბო! — ამოიკვნესა დედამ.

ელიბო ჭარინდებული იყო. ოდნავ დამცინავი ლიმილით შეცყურებ-
და მამას. მტრიცედ და ჯიუტად ანათებდა თვალებს, თითქოს მამის
თხოვნა არც კი გაუგონია. ლიღი ხანი არ დაუყოფება. დახარა, მის
ფეხთან დაყრილი ტანისამოსი აიღო. ერთად შეხვია და სახლის თენი-
საკენ გაისროლა. იმავე წუთში ბეციკას ხმალმაც იყლვა.

მამას უნდოდა პრტყლად შემოკერა შეილისათვის მახვილი. მავრამ
ელვის უმალევ ცოლი სწერდა მყლავში. ბეციკამ ერთი დაკერით მოი-
შორა დედავაცი და ჯიუტად მიეტანა შეილს. არც ელიბოს დაუყო-
ნებია, გამეტებით ეჭვრა მამას.

სულგანაბული ხალხი უძრავად იდგა და სანამ რასმე მოიფიქრებ-
და, ბეციკას ხმალმა ცეცხლის ალივით ერთხელ კიდევ გაიღლა ჰაერ-
ში. თავგადაჩხილი ელიბო შექანდა და თავდაღმა დაცუა მიწაზე.

ბეკია გაშეშებული დარჩა.. თითქოს მხრები ჩამოათალესთ. ჯმუნა, კისერი მკერძოში ჩაუვარდა: მოკუნტა, დაღნა და დაპატარავდა, ჩარელი დუმილი იდგა. გულწისული დედა ელიბოსავით უძრავად ცელო მიწაზე.

დიდი ხანი დაპურებდა ბეკია შეილს. მერე მუხლებზე დაცა. დაჭრილი მოსურიეთ შებლავლა და მოელი ძალონით ჩაეხვია. ან-ჯლრევდა, ეფერებოდა, კოცნიდა და მუდარით ჩისძახოდა.

— ელიბო. ჩემო საყვარელო შეილო! გაახილე თვალი. შემომხედვე მოკედა არ მინდოუდა, ივამე, ივამე. ბეკია! — კარგი ხანი ბოლოდა ზეიადაური სახარელი ხმით, როცა წამოდგა გაშტერებული შემოგვაჩერდა, თითქოს რადეცის გვთხოვდა. ხალხისაგან მოელოდა მსჯავრი, მაგრამ არავინ არ იძროდა აღვილიდან.

გონებადაკარგული ბეკია გამოერკევა. მწარედ ამოიგმინა. რალაკ გაუგებარი სიტყვები წამოიბლავლა. სწრაფად მოსცილდა აღვილს და ქარივით გაქრა.

იმ დღიდან არავის უნახებს ზეიადაური. მის სახლეარს ხალხმა ცეცხლი წაუკიდა. დიდი და პატარა წყველა-ერულვით ისესწიბდა ბეკიას სახელს. ყველგან ძრწოლებით იღონებდენ ამ ამბავს. ზეიადაურის ოჯახი ზეიადაურივით აღიგავა სოფულიდან...

ჩაფერფლილ ცეცხლს ფიჩი დაუუმატე. თავჩალუნული ვიჯეჭა უჩრინიბდი. რომ ზეიადაურიც იჯდა და არ ინძრეოდა. მე არ ვეკურებდა ზეიადაურს. არ შემეძლო მეცენინა მისი სახისათვის. მესმოდა მისი ჩერი სუნთქვა და განუწყვეტილი ხრიალი.

ალიონი ახლოვდებოდა. ცეცხლი თანდათან ჩაიფერფლა. ვამოქაბულს სიბრძელე მოედო და სამარისებურიმა სიჩრუმე მოიცა იქაურობა.

აღმა ხრიალი ბეკია. განაბული იჯდა. მხოლოდ მისი თვალები ანათებდა ისევ მწვანედ.

— ჰაუ, დათვა, მითხარ რამე! — შემომხახა უცებ მილეული ხმით და კვლავ ახრიალდა. — ხმა გამე, ბიჭაუ, მითხარი რამე! შატრილში რა აჩიბერი? ჩერენებიანთ ამბავი მაინც მითხარ, აღამიანო.

ხმა არ ამომილია. გული სიბრძლულით ამჟამა. ცეცებით სიტყვას. მინდოდა მენუერებინა. გამემხნევებინა, მაგრამ მან დამასწრო:

— საღამოს ხევში კიყავ. ბიჭაუ, ელიბოს ტყევია დავიკი. მთელი დღე დამდევდა ის კვალდაკვალ. მთებზე, ხრამებში, ხევებში. ხელებში წითელ ვარსკვლავიანი ჩაქანი ეჭირა. ქუდზე მიკრული წითელი ვარსკვლავი მშესავით ანათებდა. ჩაქანით გასრესს მიქადდა და ვარსკვლავის სხივებით დაწვეს. მაგრამ კერა, ბეკიას მუხლები წიარივით მარდია. ბეკიას თვალები თრბის თვალებივით მჭრელია. მხოლოდ აული არ მიგარე, არაბულო. ლონეც მოალატობს. ელიბოს შეძახილი შიშის ზარს მცამს. მის შემოხდვას ვერ ვიტან. მისი ვარსკვლავის ცეცხლი

მწვავს და მაგიკებს. ის კი სამი წელია ფეხდაუებ დამდეგ, მრავ მც ყოველ სალამის ვკლავ. მაგრამ ღილით ისევ ცოცხლდება და მთერული ჭრის განმეობაში არ შძიებებს. მეტი ალარ შემიძლია, არაბულო. გავთვავ-დი კაცი! უკანასკნელი ტყვია დამრჩა მაუზერში. მხარია მიგრძნობს, რომ ამ ტყის უსათუოდ ავაცლენ და მაშინ ჩაწერს დამცემს თავში, გამ-სრუსავს, ცუკილის ალით დამწვავს, მიშველე, არაბულო! დამიხსენ ელი-ბოსაგან!

შეისვენა. სული მოითქვა. ფეხზე წამოდგა. ჩემსკენ წამოწიგი და მუხლებზე დაეცა, ხელები ფეხებზე მომხვია, საცოდაჟად დაიკრუჩა.

— დათვიდე, აქა, ბიჭაუ, უკანასკნელი ტყვია!

მაუზერი გამომიწოდა.

— შემიცოდე, არაბულო! გამომართვი იარალი.

უხერხელი სიჩუმე ჩამოვარდა.

ისევ წამოდგა. ბარბაცებდა. თავს ვერ იკავებდა. ჩემსკენ გამოშვე-რილ მაუზერს ძლიერ იმაგრებდა.

— არაბულო, პაუ, ბიჭაუ, ტყვიასაც არ იმეტებ ჩემთვის. მომხედე, დათვიავ, შემიბრალე აღამიანი!

არ ვიცოდი, რა მეტანა. მისი ქვითინი ქვასაც აატირებდა, მაგრამ ვე ისე გამოლენჩებული ვიჯეტი, რომ მოფიქრების უნარიც ილარ მქანდა. შემატულ ეს, მაუზერი კედელს მიახალა. პირველ დამზხვი და ფრინილუ-ბით ჩაებლაუკა მიწას. დიდი ხანი ბორგვავდა საზარლიდ. მიწას ბლუკ-ნიდა, სახეს აქეთ-იქით აზლიდა ქვებს.

დაილალა. დამშეიდდა. სუნთქვა შეუნელდა და არ ვიცი, ჩაეძინა თუ გული შეულონდა, მოძრაობაც კი შესწუვიტა.

მალე ალიონმაც შემოანათა. ზეიადაური ისევ თავდალმა ეგდო მი-წაზე. სისხლითა და ჩირქით მოსერილი ნახევარი სახე-ლა უჩანდა, ოდ-ნავ სუნთქავდა.

არ, მინდოდა გამელეიძებინა. ფრთხილად გამოვედი გარეთ. სუთა ჰაერშა გონება დამიბრუნა. ელვის სისწრაფით გაიელვა ჩემს წინ წუ-ხანდელმა ამბავმა. გამახსენდა ქლიბო. მთელი სოფელი დაფიცული ვი-კავეთ, რომ თუ ზეიადაურს ცოტასალს შევეყრებოდით, არ დაგვენდო. ფიცისთვის არ შემძლო ღალატი.

დიდი ქის ზოდი ვიპოვე. ძლიერ მივზიდე გამოქვაბულამდე. კარ ავაფარე. გარედანაც ქვებით დაეკვიგრე და გზას გაუდექი. სუთმა წელ-მა განვლო მას აქეთ.

თუნდებოდა.

არაბული და გოორვი გამოქვაბულიდან გამოვიდნენ. დათვიამ ტეირ-თი გამოათრია. აიკიდა. ტყაბუჭი მხარზე გადაიგდო. ცა მოწმენდილი იყო. ყინულოვან მთებიდან ატყორუნილი მზის სხივები ოქროსფრად ბრჭყვიალებულენ. მთები იცინოდნენ.

დილის ჰერი ლრმად შეისუნოფა. მერე გიორგის მიუბრუნდა.

— აი, გიორგი, შატრილი. მთის კალთაზე რომ გადმომჯდარა, ხედავ, როგორ მედიდურად აშართულა. აი, იქ რომ დიდი თეთრი შენობა მოსახანს, ზეიადაურის ნასახლარზეა. ის ელიბოს სახელობის სკოლაა. ჩვეო ივაშენეთ, კოლმეურნეებმა, ახლა ჩვენში ელიბოს მსგავსი ბალლები დაიზრდებიან. ამა იქნით გაიხედე, ბიჭაუ, აი იქნით ზევით.

არაბულმა გიორგი მარჯვნივ მიახედა. ~~სამართლის მიმღები მისამართის მიმღები~~

— ხედავ, მთაზე რომ საქონელი გადმოდის. თითქოს ზღვის ტალღა მოექანებაო. ჩეენი ცხეპრია. საძოვარზე მიღის. გამომყე, გივარგი, საითაც მიიხედავ, ირგვლივ ყველაფერი ხარობს. ხედავს მოებიც კი იცინიან. ცივი და მედიდური მთები.

არაბულმა ჯოხი მომარჯვეა და ალმართისაც გააბოტა.



დათვის არაბული

არაბული არაბული არაბული არაბული

არაბული არაბული არაბული არაბული

ხოზი მარია და ჰერალდია

ღ ე ს ე ბ ი

ანდრიაშვილი ურჩეულთან

სეფეის ქალი თბიგაშლილი, ცოცხალი კიდევ,
 პატილი კლეუზე მიჯაჭვული, სუსტი, უძლური
 მოსქეამა, და ნისლით დაბურული შავი კუნძული
 ვეღარ იფარავს მზეირთებისგან შენგრეულ კიდეს.

უზარმაზარი ოქანი თითქოს, ხელს ჰყიდებს
 ქალის ფეხებთან უკვე ამსხერევს ყინულს ურჩეულია;
 თუმცა თვალები ზარდაცმულს აქვს მოხუჭული
 ის მანნც ხედავს ნაპრალებს და საშინელ ზეირთებს.

და როგორც ელვა ანგრევს ხოლმე უსხივო ზეცას
 ცხენის ჭიხვინმა დაარღვია დუმილი უცებ.
 თვალი გააღია, ქალს იმედით კვლავ გვალი უცემს.

რადგან მოფრინავს და მანძილებს სისწრაფით კეცავს
 ზეცის ვაჟის ფრთხებასშმული მერანი ჩქარი
 და ზეავზე შავად მოქანაობს აჩრდილის ჩეირი.

ვაჩამი და ანდრიაშვილი

ვით უეცარი მიუუჩება გრიგოლურ ქარის,
 ისე შეჩერდა ზეირთებ შორის მხედარის ფრენა;
 ტანს უფარავდა ქაფი, ხავის და სისხლის ფრენა,
 ოქროსთმიანი ხელში ეპრა სელეის ქალი.

ლეთაებრივ კვიტა გააჩილება ამ ზღვების რეალი,
 ტორების ცემით და ჭიხვინით აჩერებს რბენას,
 თითქოს აღელვებს დარცხვენილი ასულის ხვევნა;
 მისი ლიმილი, ამღვრეული ცრემლებით თვალი.

ვაერი ეხვევა და სამიერს სილურჯე ტალღის, რომელ გავაშე ააქვს ტერფი ქალს მეტად დალი იპარჩის კონკრეტულ მონაცემზე კამკამა ზეირთი.

შავგრამ მათრახის შემოქწევის კერძო იტანს. ცხენი გმირის ძახილზე როგორც ცისკვენ ნატყობუნი ბირთვები ცაშე გაუკრა მისი ფრთხების ელვა და ციცხლი. მაგრა

ადრესი მოტაცება

ՀԸՆԿԱՐԱԿԱՆ ՏԵՇԱՅԻՆ ՎԵՐԱԿՐՈՆԱԿԱՆ ՀԱՄԱՐ
ԱՐԴՅՈՒՆՈՒԹՅԱՆ ԵՎ ԽԱՐԱԿԱՆ ՀԱՄԱՐ

მიკერიან. ზეირთი ეხეთქება აფრიკის გაშლილს
მოსჩანს. აზიაცი... პა უდაბნო, ლობანის ხაზი;
აქაფებული, ატანილი უცნაურ ბრაზილ
ნისლები ჰყანია პელვასწორის დაღურების ზღვაში.

სალქნებით აფარფატებს გაშლილ ფრთხებს ქარ, სადაც ტრფიალით გულგამიბარი ვაკე და ქალი მიუყრისტულან ვით ბუღეში ჩიტის ბახალი.

და როცა ზეცას მათი ლანდი კანკალით რთავდა,
მერწყულის, ვერძის მიეგება სხივი მაღალი
და მერე ნელა შეუერთდენ ლავეარდის თავანს.

თარ. გ. პატარიძე



8. გორები

იზაღიური ზღაპრები

კარგ შლაპარს მარტო თვით ცხოვრება
ჰქმისა და მის უკონის ვერაციის იტყვის.
ანდრიას ცხრილი

I

ნეაპოლში ტრამების მოსამსახურები გაიფიცნენ: კიაიის ნაპირის მთელ სიგრძეზე ჯაჭვეით გაჭიმულიყო ცარიელი ვაჭონები, ხოლო გამარჯვების მოედანზე შეკრებილიყვნენ ვატმანები და კონდუქტორები, — მხიარული, მყვირალი, ვერცხლის წყალივით მოძრავი ნეაპოლელები. ზემოდან, ბალის ცხაურლობის იქით, ბრწყინავს მზეზე წვრილი, როგორც კარგი ხმალი, წმინდა ჰქონდა კეცელი შადრევანისა. გაფიცულთ გარს მრავლად მოხვევია გაჯავრებული ხალხი, ყველა თავის გზას მიემურებოდა უზარმაზარი ქალაქის ყოველ უბნისკენ და ყველანი — ეს ნოჭიები, ხელოსნები, მეწვრილმანებები, მექრავი ქალები — გაბრაზებით ხმამაღლა ამ-ბრუნებენ გაფიცულებს. ისმის ბრაზიანი ხმა, მწარი დაცინვა, შეუჩერებლად იძერის გაშმავებული ხელი, რომლითაც ნეაპოლელები ისევე შესავნებლად და მცენრმეტყველებით ლაპარაკობენ, როგორადაც დაუყენებელი ენით.

შლვიდან პატარა სიო მოქრის გრილი. ქალაქის ბალის დიდორონი პალმები არხევენ მარაოდ გაშლილ მუქწმუნე ტოტებს. ლეროები ურჩხულ სპილოების ტლანქ ფეხებს უგავთ. პატარა ბიქები — თითქმის ტიტევლი შეიღები ნეაპოლის ქუჩებისა — დახტიან ბელურა ჩიტებივით და წკრიალი ხმით და სიცილით აქსებენ პატარს.

ძველებურ ნატიფსა ქვავს ქალაქი, უხევად გაბრწყინებული ცხელი მზის სხივით, და მომღერალი, თითქმ თრგანად გადაქცეულიყოს. ცისფერა ზეირთი ზლეისა ეკვეთება წყლის პირის კლდეს და დიდი დოლის ხმით ზანს აძლევს ქალაქის ხმაურობას.

დატრემილები არიან გაფიცულები, ერთმანეთს ეკვრიან, პასუხს არც კი აძლევენ ხალხის გაბრაზებულ საყველებრს, ბალის ცხაურლობეზე ძრეზიან და მოუსცენრად გაპურებენ ქუჩებს, გეგონებათ, მგლების ხროვაა,

რომელსაც გარს ძალიერი შემოხვევევიან. ყველა პხედავს, რომ გაფიცულები, ერთნაირ ტანისამოსში გამოწყობილი, უზყველე გადაშევერილებით არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი, რომ თავისას არას დასრულებენ, თავის უფრო აბრახებს ხალხს. მაგრამ ამ ხალხში ფილოსოფისებიც ურევიან: იქვე დადან, სწევენ თავისთვის ჩიბუსს და აშშეიდებენ გაფიცვის შინააღმდეგ მოაზრე გულიცე ვაჟბატონებს:

— ბატონო ჩემო, მაშ ჩა პქნას მაგ უბედურმა, თუკი თავის შეილებისთვის მაკარონიც ვეღარ უყიდია?

ჯავუშებად დვანან სალუქად ჩატმული ბენტები ქალაქის მილიციისა, ორ-ორი, სამ-სამი ერთად, და ყურს უვდებენ, რომ ხალხის გროვა არ აბრკოლებდეს ეტლების მიმოსელს. სასტიკად იცავენ ნეიტრალიტეტს, ყრთნაირ სიშვიდოთ უკურებენ გაფიცულებასაც და იმათ მძრახავებსაც და გულიანად დასცინიან იმათაც და იმათაც, როდესაც კვირილს და ხელების ქნევას მეტის-მეტი სიცხარე ერევა. თუ მაინც და მაინც ისე ვამწვავდა საქმე, რომ ერთმანეთს ეკნენ ხალხი და გაფიცულები, ვიწრო ჭუჩაში, სახლების კედლების გასწერივ, ასზრი დგვის ყრაბინერებისა მოკლე. მსუბუქი თოფებით ხელში. საქმოად საშიშია ეს რაზმი, სამკუთხოვანი ჭუდებით, მოკლე წამოსასხამებით და შარვალზეც ორი წითელი ზოლით, თოთქო სისხლის ნაკადი დასდენიათ.

უსაბად წყდება საყველური, დაცრნა, ლანძლვა. ჩალაც მოეჩერენა ხალხს, მოეჩერენა ახალი, ადამიანების შემათანხმებელი და მომარტვებელი. გაფიცულები უფრო პირქუშად გამოიკირებიან და იმავე ლროს მცირებოდ ერთდებიან. ხალხში ყვირილი ისმის:

— ჯარისკაცები მოდიან!

სტეკით დასცინის გახარებული ხალხი გაფიცულებს. ისმის მისალმების კვირილი, და კილაც სქელი კაცი, კოხტად ჩატმული, პანამის ქუდით, ცეკვით ფეხსა სკემს ქავირწყლულს. კონდუქტორები და ვატმანები ძლიერ იკვლევენ გზას მოგროვილ ხალხში, ვაგონებისკენ მიღიან; ზოგნა ვაგონის ბაქანზე აღიან, უფრო პირქუშად გამოიყურებიან, და საცა გზას უკრავს ხალხი, ან საწყენს იძახის რამზე. ესენიც კარგ პასუხს იძლევენ, და ხოლს არღვევენ... მისუმდა კველაფრი.

ჭრ. ლუჩიის წყლისპირის ქუჩიდან ჩქარი, მოცეკვაის ნაბიჯით მოდიან პატარა, რუხი ჯარისკაცები, ზომიერად სკემენ ქუჩის ფეხს და ისევე ზომიერად, ერთნაირად იქნევენ მარტენა ხელს.

ერთი შეხედებით თენუქისა ვეგონებათ ეს ჯარისკაცები და ისევე მჩატი, როგორც მჩატია მოსამართავი სათამაშო ბაეშვისა. წინ შშვენიერი, მაღალ-მაღალი აფიცერი მოუძღვის შეკმუხვინილი სახით, ხალხის აბურიად ამგდები ლიმილით. მის გვერდით ხტომით მიდის ერთი ლიპიანი ცილინდრიანი ვაჟბატონი და რაღაცას მშბობს გაცხარებული, ორივე ხელის ქვევით.

ხალხი მოშორდა ვაგონებს. ჯარისკაცები ჩერტვებიან ვაგონზე ასავალ კიბეებთან, ხოლო ვაგონის ბაქანზე — თითონ ვაფიცულებზე ცალკე.

ცილინდრიანი ვაექატონი და იძასთან ერთად კილეტ თამატების დარბასისელი, რომლებიც გარს ახვევიან, უფეირიან ვაფიცულებს ხელების ქნევით:

— ეს უკანასკნელია... ვეყურებათ? უკანასკნელია!

აფიცერი ულვაშს იგრიხავს, დალონებული და თავდალუნული ახლა იმას მივარდა ცილინდრიანი და მოთმიწებილიან ვამოსული რალისაც ჩასახის ხრინწიანი ხმით. აფიცერმა ცალი თვალი ვადავულო ვაექატონს, წელში გაიმართა, მკერდი ვამოიბერა და გაისმა ხმამაღლი სიტყვა ბრძანებისა. ეს ბრძანება და ჯარისკაცების ვაგონების ბაქანზე ასელა ერთი იყო. ორ-ორი კაცი ავიდა ბაქანზე და ძირს ჩამოჰყარებ, ვატმანები და კონდუქტორები.

სასაკილო სურათიდ ეჩვენა ეს ხალხს და გარსმა უეირილი, სტენა, ხარხარი, მაგრამ მაშინევე შეწყდა: იგრიალა ხალხმა და ვაკირვებულა სახით, დაჭყეტილი თვალით ხმისამოულებლად ვაშურა პირველ ვაგონისკენ.

პირველი ვაგონის წინ, ორი ნაბიჯის, მოშორებით, რელსებზე ვარდი-ვარდმო იწვა ჭრდობდილი, მთლად გაქალარავებული ვატმანი, ჯარისკაცის სახისა; გულალმა იწვა, ცისკენ მუქარით აეშვირა კოხტა ულვაში. იმას ახლა სხვა მიუწვა ვერდით, პატარა, მაიმუნით ცეკვიტი ყვაწვილი ბიჭი, და მერე აუჩქარებლად კიდევ და კიდევ წელებოდნენ ვაფიცულები...

ყრულ გუგუნებს ხალხი, გაისმის ხმები — შეშინებული მოუწოდებენ მაღლინას, ზოგი საზიზრად იგინება, კიციან, და კვნებიან ქალები და, თითქო რეზინის ბურთები იყვნენ, ყველგან დაბრიან ამ სეირით აღტაცებული ბიჭები.

ცილინდრიანი ვაექატონი რალაცას გაპყეირის, თითქო ჭრითქოთ ბლე! ადაცერი შესცემის და მხარის იჩინავს. — ბრძანება აქვს ვატმანების მავიკრად. ჯარისკაცები დააყენოს საქმეზე და არა ვაფიცულებთან შებრძოლება!

გაშინ ცილინდრიანი და რამდენიმე მისი ავან-ჩავანი კარაბინერებით საკენ გაიქცენ, და ის დაიძრნენ კარაბინერები, მიეიღნენ რელსებთან, დაიხარისენ ვაშოტილების ასაყენებლად.

ატყდა ალიაქთით, მიწევ-მოწევა და — უცნაური რამ მოხდა უცბად: ჩაურებელმა ხალხმა შეპყეირა, შებლავლა, რელსებს ეცა — მოშელიპა: თავიდან პანამიანმა თავისი ჭრი, მაღლა აისროლა, ვერდით მიუწვა ვაფიცულს, მხარში ხელი ჩაჟრა და ვამახნევებელი ხმით შესძინა — ვა მარჯვება ჩევნიაო.

იმას სხვები მასკუნენ და ცვილოდნენ, წვებოდნენ რელსებზე, თითქო ფეხები დააკრესო. ვიღაც მხიარული ადამიანები ძოულისტნებულად მისანდენ ძალანი საიდანლაც, იქ არ იყვაენ ამ ორი ჭუთის წინად. დაეცემდნენ მიწაზე, ხარხარებდნენ, ელიტებოდნენ ერთმანეთს, უყვიროდნენ აფიცის; მოხელიც რაღაცას უბბებოდა ცილინდრიანს, თავს იქნევდა და სიცილით ათამაშებდა მის ცხეირპიროთ თავის თაობებს.

რელსებზე კი წვებოდა და წვებოდა ხალხი, საღაც მოხვდებოდათ, იქ შეისცროდნენ დედაკაცები თავის კალათებს და რაღაც ჭოხებს; სიცილით წვებოდნენ ბიჭები და შეუგეხული ძალებით იკუნტებოდნენ; ერთი გვერდითან მეორეზე ბრუნავდნენ და მტკერით ისცრებოდნენ ვიღაც კარგად ჩატმელი კაცები.

ხეოთ ჯარისკაცი იდგა პირველი ვაგონის ბაქაზე. დასცემეროდნენ ზემოდან რელსებზე და ვაგონია თვლებას პივიშ ძვოლიარება და ისე გულისად ხარხარებდნენ, რომ ფეხზე ვეღარ იდგნენ, — ხელები ჩაეჭირათ მოაჯირისთვის და ხან აქეთ იქნევდნენ, ხან იქნო. ახლა კი იღარა ჰვაელნენ ისინი თენუქის სათამაშოებს.

...ნახევარი საათის შემდეგ ნეაპოლის ყველა ქუჩაში მისრიალებდნენ ჭრიალით და წერიალით ტრამვაის ვაგონები — ბაქაზე გამარჯევებული, მხიარული კონდექტორები იდგნენ, ან ვაგონში დადიოდნენ და სიცილით მიმართავდნენ შიშავალთ:

— ბილეთი?!

ისინიც ფულა აძლევდნენ, უღიმოდნენ, უცინოდნენ, თვალს ჩაუკრავდნენ და გულკეთილად ბურტუნებდნენ.

II

ცისფერი დამშეიდებული ტბა, მაღალი დათოვლილი მთებით შემოზღუდელი; ბალებით და ვენახებით ამწვენებული ტბისკენ დაშვებული ფერდობი მთებისა; თეთრი, წყალში ჩამცერი საზღები ტბის პირას, ისე ჰეავს აქაურობა ტებილ ოცნებას ბავშვისა, გეგონებათ შაქრისა არის კა სახლებით.

